

675-75
1997




საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

ა ა ბ გ დ

PROCEEDINGS
ИЗВЕСТИЯ

ეკონომიკის სერია
ECONOMIC SERIES
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ



ტომი
VOLUME
TOM

5

1997

N 1-2

V
61

თბილისი • TBILISI • ТБИЛИСИ

სარედაქციო კოლეგია

ვ. პაპავა (მთავარი რედაქტორი), ვ. ადვაძე, გ. ადეიშვილი, თ. ბერიძე, ლ. გიორგაძე, ა. გუნია, ა. კურატაშვილი, ი. მესხია, რ. შითაიშვილი, ნ. პაიჭაძე, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაძე, ლ. ჩიქავა, გ. წერეთელი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ბ. ხახია, მ. ჭიბუტი

პასუხისმგებელი მდივანი ი. დემირხანოვა

EDITORIAL BOARD

V.Papava (Editor-in-Chief), V.Advazde, G.Adeishvili, T.Beridze, L.Chikava, T.Chikvaidze, M.Djibouti, H.Giorgadze, A.Gunia, B.Khasia, A.Kuratashvili, Y.Meskhia, R.Mitaishvili, N.Paichadze, A.Silagadze, G.Tsereteli (Deputy Editor-in-Chief)

Executive Secretary I.Demirkhanova

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

В.Г.Папавა (главный редактор), В.С.Адвадзе, Г.Г.Адеишвили, Т.А.Беридзе, Г.Г.Гиоргадзе, А.Л.Гуния, М.Ч.Джибути, А.А.Кураташвили, Я.Е.Месхия, Р.Л.Митаишвили, Н.Н.Пайчадзе, А.Н.Силагадзе, Б.А.Хасиа, Г.Ш.Церетели (зам. главного редактора), Л.Л.Чикава, Т.Н.Чикваидзе
Ответственный секретарь И.С.Демирханова

380007, თბილისი, ჭიქოდის 14, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
ტელ. 99-68-53, 99-07-02, ფაქსი: 99-83-89

P.Gugushvili Institute
of Economics, The Georgian
Academy of Sciences
14, Kikodze street
Tbilisi, 380007
Georgia
tel: (8832)996-853, (8832)990-702
Fax: (8832)998-389

Грузия
380007, Тбилиси
ул.Кикодзе, 14
Институт Экономики
им. П. Гугушвили АН Грузии
тел: (8832) 99-68-53, (8832) 99-07-02
факс: (8832) 99-83-89

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

ა ა ბ გ დ

PROCEEDINGS

ИЗВЕСТИЯ

ეკონომიკის სერია

ECONOMIC SERIES

СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ

ტომი 5, N 1-2

VOLUME 5, N 1-2

ТОМ 5, N 1-2

ჟურნალი დაარსდა 1992 წლის ოქტომბერში
The journal is established in October, 1992
Журнал основан в октябре 1992 года

გამოდის წელიწადში 4-ჯერ
The journal is published 4 times a year
Выходит 4 раза в год

თბილისი "მეცნიერება"
TBILISI "METSNIEREBA"
ТБИЛИСИ "МЕЦНИЕРЕБА"

1997

შინაარსი

ნათელაური იზა	
საგარეო ეკონომიკური სტატისტიკა საქართველოში 1980-1995 წწ.	3
ო'ბრაიენი ჯონ კონვეი	
შმოლერის პოლიტიკური ეკონომია: პირადი ინტერესები უმაღლესი კანონის წინააღმდეგ	13
ანანიშვილი იური	
ღია (რეგიონული) ეკონომიკის დარგთაშორისი ბალანსის-მოდელის სრულყოფის შესახებ	29
აბდალაძე მერაბი	
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები: ისტორიული ევოლუცია და თანამედროვე თავისებურებანი	45
წესები ავტორთათვის	61

CONTENTS

Natelauri Iza	
Foreign Economical Statistics of Georgia in 1980-1995	3
O'Brien John Conway	
Schmoller's Political Economy: Self-Interest Versus the Higher Law	13
Ananiashvili Iuri	
On Improvement of Model of Intersectoral Balance for Open (Regional) Economy	29
Abdaladze Merab	
Historical Evolution and Modern Peculiarities of International Economic Relations	45
Instruction to Authors	61

СОДЕРЖАНИЕ

ნათელაური იზა	
Внешнеэкономическая статистика Грузии в 1980-1995 гг.	3
О'Брайен Джон Конвей	
Политическая экономия Шмоллера: собственные интересы против высшего закона	13
Ананишвили Юрий	
О совершенствовании модели межотраслевого баланса открытой (региональной) экономики	29
Абдаладзе Мераб	
Историческая эволюция и современные особенности международных экономических отношений	45
Правила для авторов	61

საგარეო ეკონომიკური სტატისტიკა საქართველოში 1980-1995 წ.წ.

ნათელაური იზა

380007, თბილისი, ქიქოძის 14

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

შემოვიდა 1996 წ. 15 დეკემბერს

რეზიუმე. საგარეო ეკონომიკურმა სტატისტიკამ საქართველოში 1980-1995 წლებში განვითარების სამი ეტაპი გაიარა: ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის პერიოდი (1980-1985 წ.წ.), საგარეო ეკონომიკური რეფორმის პერიოდი (1985-1990 წ.წ.), თანამედროვე (ქვეყნის დამოუკიდებლობისა და საბაზრო ორიენტაციით განვითარების) პერიოდი (1990-1995 წ.წ.). სტატიაში ნაჩვენებია, რომ თანამედროვე პერიოდის საგარეო ეკონომიკური სტატისტიკა ნაწილობრივ ეფუძნება 1980-1985 წ.წ. საგარეო ეკონომიკური სტატისტიკის სისტემას. მოცემულია თითოეული პერიოდის შესაბამისი სტატისტიკური სისტემების შედარებითი დახასიათება.

საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმები თანამედროვე საქართველოში

ცივილიზებული სამყაროს ნებისმიერი ქვეყნის მსგავსად თანამედროვე საქართველოშიც ფუნქციონირებს საგარეო ეკონომიკური კომპლექსი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმებს, მეთოდებს, მიმართულებებს და საგარეო ეკონომიკურ მონაწილეთა ერთობლიობას; ემსახურება მოთანამშრომლე ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების პრაქტიკულ რეალიზაციას; ეფუძნება უცხოეთის ქვეყნების გამოცდილებასა და შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობების გამოყენებას.

საქართველო მრავალმხრივი საგარეო ეკონომიკური კავშირების ქვეყანაა. იგი ავითარებს საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის მრავალ ფორმას [1,2,3]. კერძოდ, საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის ტრადიციულ ფორმებს (საგარეო ვაჭრობა, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა, საერთაშორისო ტურიზმი და სხვა.); საგარეო ეკონომიკური თანამშრომლობის ახალ ფორმებს (დარგობრივი თანამშრომლობა პირდაპირი კავშირებით, ერთობლივი საწარმოები, სპეციალური ეკონომიკური ზონები, სანაპირო-სასაზღვრო ვაჭრობა); საერთაშორისო სავალუტო და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობებს.


1985 წლამდე უცხოეთთან ჩვენი ქვეყანა თანამშრომლობდა მხოლოდ ტრადიციული ფორმებით. უპირატესად ვითარდებოდა საგარეო ვაჭრობა. 1986-1988 წლებში პირველად განხორციელდა დარგობრივი თანამშრომლობა პირდაპირი კავშირებით. დამუშავდა სანაპირო-სასაზღვრო ვაჭრობის პროექტი. მთავრობაში დაიწყო საკითხი ფოთში თავისუფალი მეწარმეობის ზონის შექმნის თაობაზე. 1995 წელს მინისტრთა კაბინეტმა კვლავ განიხილა ფოთის თავისუფალი ვაჭრობის ზონის დებულება და მიიღო დადგენილება N 882 "საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ღონისძიებათა შესახებ". საკითხი ეხება თბილისში, ფოთში და ბათუმში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის შესაძლებლობების შესწავლას. ამჟამად პარლამენტი აპრობირებს კანონპროექტს "თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ" საქართველოში. 1986 წლიდან მოყოლებული აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ერთობლივი საწარმოების შექმნასთან დაკავშირებით. 1996 წლის 26 დეკემბრის

მონაცემებით საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 271 ერთობლივი საწარმო¹.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური სტატისტიკა ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის პირობებში (1980-1985 წლები).

საგარეო ეკონომიკური კავშირების აღრიცხვისა და შეფასების 1980-1985 წლების სტატისტიკური სისტემის ცოდნას ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს. მას ეფუძნება ნაწილობრივ თანამედროვე სტატისტიკური სისტემები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში.

1980-1985 წლებში საგარეო ეკონომიკური სტატისტიკა იქმნებოდა შემდეგი მმართველობითი იერარქიის შესაბამისად:



ეკონომიკის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის პირობებში საგარეო ეკონომიკურ ვაჭრობას (ერთიანი ქვეყნის ფარგლებში) ახორციელებდა საგარეო ვაჭრობის საერთო საკავშირო სამინისტრო, საერთო საკავშირო საგარეო ეკონომიკურ გაერთიანებებთან ერთად [4, გვ. 75-81]. ამ უკანასკნელთ საკუთარ კომპეტენციაში გააჩნდათ:

- კონტრაქტები, ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული სატრანსპორტო და სასაქონლო დოკუმენტები,
- დოკუმენტი-კონოსამენტები, შეტყობინებები სახელმწიფო საზღვარზე ტვირთის გატარების შესახებ,
- ადგილობრივ და უცხოელ მომწოდებელთა ანგარიშები.

საერთო საკავშირო საგარეო ვაჭრობის სამინისტრო ექსპორტ-იმპორტზე განზოგადოებულ მაჩვენებლებს (ექსპორტ-იმპორტის საერთო მოცულობებს და მათ სასაქონლო სტრუქტურას) აგზავნიდა მხოლოდ სსრკ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტში. საგარეო ეკონომიკურ გარიგებათა საფინანსო შედეგები სსრკ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტში აღრიცხვას არ ექვემდებარებოდა. ამიტომ, ეს

1 ინფორმაცია ეკუთვნის საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს

20912

უკანასკნელი საგადასახდელი ბალანსის შედგენაში არავითარ მონაწილეობას არ
ღებულობდა. მსგავსი დამოკიდებულება სსრკ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტ
სა და საგარეო ეკონომიკური კავშირების მართვის უმაღლეს ორგანოს - საერთო
საკავშირო საგარეო ვაჭრობის სამინისტროს შორის გაგრძელდა 1985 წლის
ბოლომდე.

სსრკ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი საკუთარი სქემით, ანგარიშგების
ფორმებითა და მეთოდოლოგიურ-მეთოდოლოგიური მითითებებით იღებდა ინფორმაციას
მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოებიდან.
რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოებისათვის სსრკ სტატისტიკის
სახელმწიფო კომიტეტის მითითებები იყო შესასრულებლად სავალდებულო
და ფორმები უნიფიცირებული. სტატისტიკური ანგარიშგების ცენტრალიზებული
სქემა აერთიანებდა

- ექსპორტის (იმპორტის) მოცულობებს სასაქონლო და ქვეყნების ჭრილში;
- სამამულო მწარმოებლების მიერ საექსპორტოდ პროდუქციის მიწოდებას,
- შიგა ბაზარზე იმპორტირებული პროდუქციის მოცულობებს;
- ერთობლივ საწარმოთა საქმიანობას, სსრკ ტერიტორიაზე;
- საერთაშორისო ტურიზმს;
- უცხოეთის ქვეყნებისათვის ტექნიკურ და ეკონომიკურ დახმარებას (სსრკ მას-
შტაბით).

სტატისტიკური სამსახურების მიერ შექმნილ ცენტრალიზებულ სქემას სრულ-
ფასოვნებამდე აკლდა ინფორმაცია:

- სახელმწიფოს საგარეო ვალზე;
- უცხოეთიდან მიღებულ და უცხოილებზე გაცემულ კრედიტებზე;
- უცხოურ ინვესტიციებზე;
- სავალუტო ამონაგებზე (მათ შორის, უცხოურ ტურიზმიდან).


სახელმწიფოს საგარეო ვალზე, უცხოურ კრედიტებზე და ინვესტიციებზე და სა-
ვალუტო ამონაგებზე ინფორმაციის მფლობელები იყვნენ სსრკ საგარეო ვაჭრობის
სამინისტრო, სსრკ ფინანსთა სამინისტრო, სსრკ სახელმწიფო ბანკი და სსრკ სა-
გარეო ეკონომიკური ბანკი. ამ სტრუქტურებს არ გააჩნდათ არავითარი ანგარიშგ-
აღებულება. სსრკ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის წინაშე საგარეო
ეკონომიკური სტატისტიკის შექმნაში არ მონაწილეობდნენ.

1980-1985 წლების საგარეო ეკონომიკურ სტატისტიკაში პირველადი ინფორ-
მაციის წყაროს წარმოადგენს სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და სხვა
სამეურნეო ერთეულების ანგარიშები. სტატისტიკური ანგარიშების თავმოყრა, და-
მუშავება და სისტემატიზაცია ხდებოდა რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკ-
ურ სამმართველოებში, შესაბამისად. ამ პერიოდის საქართველოს საგარეო
ეკონომიკური სტატისტიკა მოიცავს:

- საქონლის ექსპორტს და იმპორტს;
- საქონლის შემოტანას და გატანას.

საქართველოს ექსპორტა აღრიცხულია სასაქონლო ჯგუფების ჭრილში (ათას
მანეთებში), იმპორტიორი ქვეყნების ჭრილში (ათას მანეთებში), სასაქონლო ჯგუფ-
ების შიხედვით იმპორტიორი ქვეყნების ჭრილში (ათას მანეთებში), იმპორტიორი
ქვეყნების მიხედვით სასაქონლო ჯგუფებისა და საქონლის ცალკეული სახეების
ჭრილში (ფიზიკურ ერთეულებში და ათას მანეთებში).²

2. საექსპორტო მიწოდებებზე სტატისტიკური მასალის სისტემატიზაცია
გუთუნის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს (საგარეო
ეკონომიკური კავშირების განყოფილებას).



სასაქონლო ჯგუფები აერთიანებს რვა ბოზიცის: 1. მანქანები, მოწყობილობები და სატრანსპორტო საშუალებები, 2. სათბობი და ელექტროენერჯია, 3. მანქანები, კონცენტრატები, ლითონები და მათი ნაკეთობები, 4. ქიმიური პროდუქტები, 5. ცელულოზა-ქაღალდის ნაკეთობები, 6. საფეიქრო ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, 7. საკვები პროდუქტები და ნედლეული, 8. სახაოხო მოხმარების სამრეწველო-საქონლო.

საქართველოს პროდუქციის იმპორტიორი ქვეყნების ჰრილი მოიცავს სოციალისტურ ქვეყნებს, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს და განვითარებად ქვეყნებს. მათში არ შედის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები.

რაც შეეხება იმპორტის მაჩვენებლებს, მათი ერთიანი აღრიცხვა ხდებოდა ექსპორტის მაჩვენებლებთან ერთად გაფართოებული დარგთაშორისი ბალანსის შედგენის დროს, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, შიგა ბაზრის ფასებში, დარგობრივ და სასაქონლო ჰრილში.

დარგობრივი ჰრილი წარმოდგენილია ძირითადად შემდეგი დარგებით: ელექტროენერჯეტიკა, სათბობის მრეწველობა, შავი მეტალურჯია, ფერადი მეტალურჯია, ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ხე-ტყისა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა, საშენ მასალათა მრეწველობა, კვების მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ვაჭრობა.

სასაქონლო ჰრილი წარმოდგენილია ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურით.

საქართველოს საგარეო ეკონომიკურ თანამშრომლობაში ექსპორტისა და იმპორტის გარდა, რაოდენობრივი და თვისობრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობის მაჩვენებლებია მოკავშირე რესპუბლიკებში პროდუქციის გატანისა და შემოტანის მაჩვენებლები. პროდუქციის გატანა-შემოტანაზე ანუ რესპუბლიკათშორის კავშირებზე დეტალურად შევჩერდებით ქვემოთ.

საგარეო ეკონომიკური რეფორმა და 1986-1990 წლების საგარეო ეკონომიკური ხტატისტიკა საქართველოში.

საგარეო ეკონომიკური რეფორმა, საცხებით გასაგები მიზეზების გამო, წინ წაემძღვარა ე.წ. "რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმას" [2]. იგი ითვალისწინებდა საწარმოების უფლებების მკვეთრ გაფართოებას, მათ გადაყვანას სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე; ეკონომიკის ხელმძღვანელობის დეცენტრალიზაციას; დაგეგმვის, ფასწარმოქმნის, საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის რეფორმას; წარმოების საშუალებებით საბითუმო ვაჭრობაზე გადასვლას; ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნას. მიზნად ისახავდა ეკონომიკური სისტემის მოდერნიზაციას, საწარმოო პოტენციალის გამოყენების ინტენსიფიკაციას, ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის ოპტიმიზაციას, საზღვარგარეთის მოწინავე გამოცდილებისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობების გამოყენებას.

1986 წლიდან სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებსა და გაერთიანებებს ხოლო 1988 წლიდან სახელმწიფო კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებსაც მიეცათ უფლება უშუალოდ დაემყარებინათ საგარეო ეკონომიკური კავშირები და მიღებული შემოსავალი გამოეყენებინათ მიზნობრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ [3]. უკვე 1988 წელს საქართველოდან საექსპორტო მუშაობები უშუალოდ განახორციელა ოთხმოცმა საწარმომ და ორგანიზაციამ. პირდაპირი კავშირებით თანამშრომლობდნენ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო და აგროსამრეწველო გაერთიანება. ამ დროისათვის წარმატებით ლუნკციონირებდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგარეო ეკონომიკური გაერთიანება "საქიმპექსი" და აგროსამრეწველო გაერთიანებასთან შექმნილი საგარეო ეკონომიკური გაერთიანება "საქაგროიმპექსი". პირდაპირ

იანად შეიცვალა საგარეო ეკონომიკური კომპლექსის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა სსრკ მინისტრთა საბჭოს და სკკპ ცკ დადგენილებით: N 991 "საგარეო ეკონომიკური კავშირების მართვის სრულყოფის ღონისძიებების შესახებ", 1986 წ. 19 აგვისტო; N 203 "საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებების შესახებ", 1989 წ. 7 მარტი; N 1104 "საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების დამატებითი ღონისძიებების შესახებ", 1989 წ. 11 დეკემბერი. 1988 წელს გაუქმდა სსრკ საერთო საკავშირო საგარეო ვაჭრობის სამინისტრო და სსრკ საგარეო ეკონომიკური კავშირების სახელმწიფო კომიტეტი. იმავედროულად, 1988 წლის იანვარშივე ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული საბჭოთა კავშირის საგარეო ეკონომიკური კავშირების საერთო საკავშირო სამინისტრო. რიგ დარგობრივ სამინისტროებში შეიქმნა სპეციალური სამსახურები - საგარეო ურთიერთობების სამმართველოები ან განყოფილებები; სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების სისტემაში კი - საგარეო ვაჭრობის ფიჩხები. არსებითად შეიცვალა საწარმოებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანებების ურთიერთ-დამოკიდებულების წესი. საქართველოს უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო (მოგვიანებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა) და სსრკ საგარეო ეკონომიკური კავშირების სამინისტროს რწმუნებულის სამმართველო რესპუბლიკაში.

განსხვავებით 1980-1985 წლების პერიოდისაგან 1986-1990 წლებში საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების სტატისტიკაში საგარეო ვაჭრობის გვერდით აღირიცხება ერთობლივი საწარმოების საქმიანობა და დარგობრივი თანამშრომლობა პირდაპირი კავშირებით.

არსებითი ცვლილებები მოხდა თვით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში: შეიცვალა პირველადი ინფორმაციის წყარო. საწარმოებისა და სხვა სამეურნეო ერთეულების ანგარიშების ადგილს დაიკავა საბაჟო დეკლარაციებმა. საბაჟო დეკლარაციები წარმოადგენს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის საფუძველს. ამით ჩვენი საგარეო ეკონომიკური სტატისტიკა გარკვეულად დაუახლოვდა მსოფლიო პრაქტიკას.

ამ პერიოდის ექსპორტში აღირიცხება სამამულო წარმოების პროდუქციის გატანა და უცხო წარმოების პროდუქციის რეექსპორტი. იმპორტში - უცხო წარმოების საქონლის შემოტანა ადგილზე მოხმარებისა და რეექსპორტირების მიზნით. ექსპორტში და იმპორტში არ შედის უცხო სახელმწიფოებისათვის გაღებული. დახმარება და პირიქით, სატრანზიტო ტვირთების ღირებულება; გამოფენებზე გატანილი საქონელი და იგივე მიზნით შემოტანილი საქონელი, პირადი ამანათები და მგზავრთა ტვირთები.

საქონლის ექსპორტის თარიღად ითვლება: საზღვაო გადაზიდვებისათვის კონოსამენტის ან საზღვაო ზედნადების თარიღი, საარკინიგზო გადაზიდვებისათვის - საარკინიგზო ზედნადების შტამპელით აღნიშნული თარიღი, შესრულებული საზღვარზე; საავტომობილო ტრანსპორტისათვის - დოკუმენტის თარიღი რომელიც მოწმობს პარტნიარის სატრანსპორტო საშუალებებზე საქონლის გადატვირთვას (იმ შემთხვევაში, როცა საქონელი ბოლომდე მიდიოდა ერთი ტრანსპორტით, ექსპორტის ვადად ითვლებოდა სასაზღვრო საბაჟოს მიერ საქონლის შემოწმების თარიღი); საპერო ტრანსპორტისათვის - საპერო სააგენტოს სატვირთო ზედნადების თარიღი.

ანალოგიურად აღირიცხებოდა საქონლის იმპორტის თარიღიც.

ფასებთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ 1987-1990 წლებში უცხოეთში გატანილი და უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის ღირებულება იანვარიშებოდა საკონტრაქტო ფასებში, ექსპორტი - ჟონ საბჭოთა პორტი ან სსრკ ფრანკო - სახმელეთო საზღვარი, იმპორტი - ჟონ უცხოეთის პორტი ან ქვეყანა მიმღების

ფრანკო - სახელეთო საზღვარი. მანეთებში გადაანგარიშება ხდებოდა სსრკ სახელმწიფო ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით, საგარეო ეკონომიკური ოპერაციის განხორციელების მომენტში.

რაც შეეხება კლასიფიკაციასა და ნომენკლატურას, გამოიყენებოდა ეუს წევრი ქვეყნების "საგარეო ვაჭრობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურა." [5]

ერთობლივი საწარმოების სტატისტიკა ორი ნაწილისაგან შედგება:

1. ერთობლივი საწარმოების შექმნის შესახებ რეგისტრაციის მასალები და
2. ერთობლივი საწარმოების საწარმოო საქმიანობის ანგარიშები.

ერთობლივი საწარმოების შექმნის შესახებ რეგისტრაციის მასალებში თავმოყრილია ინფორმაცია მომავალი ერთობლივი საწარმოების დამფუძნებლებზე, საწესდებო ფონდზე და საქმიანობის სფეროზე.

ერთობლივი საწარმოების სტატისტიკური ანგარიშგების ფორმა (ფორმა NI-B3C) დამტკიცებულია სსრკ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ. იცემა ცალკეული - საწარმოების, მიხედვით ყოველწლიურად, კვარტალური დაყოფით. მოიცავს 1. პროდუქციის წარმოების 2. შრომის 3. ექსპორტის, იმპორტის, საქონლისა და მომსახურების შიგა ბაზარზე რეალიზაციის ქვეფორმებს.

რესპუბლიკათაშორისი კავშირების სტატისტიკა

ათწლეულების მანძილზე, 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სისტემა ფუნქციონირებდა ინტეგრირებული კავშირების ზეგავლენის ქვეშ. ურთიერთზეგავლენის შედეგად დაახლოებული სისტემები "განუყოფელ" მთლიანობას ქმნიდნენ ტექნოლოგიური და სტრუქტურული თვალსაზრისით. ბატონობდა მრავალი შემადგენლის განუყოფელი ჯამის ინსტიტუტი, ანუ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ურთიერთდაკავშირებულ სისტემებს შორის ურთიერთობებს.

ურთიერთკავშირები ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის აღირიცხებოდა, როგორც პროდუქციის შემოტანა-გატანა ერთი ქვეყნის შიგნით. ეს მაჩვენებლები ქმნიდნენ ერთიან სისტემას, აღირიცხებოდნენ პროდუქციის შემოტანა-გატანის ბალანსის სახით, ფიზიკურ და ღირებულებით ერთეულებში, დარგებისა და სასაქონლო კრილში, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიკური რაიონების (რეგიონების) მიხედვით. აღირიცხება ატარებდა სისტემატურ და მოწესრიგებულ ხასიათს. დამუშავებულია და მრავალჯის აპრობირებული რესპუბლიკათაშორისო (რეგიონთაშორისო) კავშირების ანალიზისა და პროგნოზირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები. მაღალმეცნიერულ დონეზეა შესრულებული რეგიონთაშორისი დარგთაშორისი ბალანსი (რომელშიც წარმოდგენილია სსრკ-ს ყველა მოკავშირე რესპუბლიკა და ეკონომიკური რაიონი), ორზონიანი რეგიონთაშორისი დარგთაშორისი ბალანსი (რუსეთი დანარჩენი რესპუბლიკები), ამიერკავკასიის რესპუბლიკათაშორისი დარგთაშორისი ბალანსი (ამიერკავკასიის რესპუბლიკები), ორზონიანი ნატურალურ-ღირებულებითი დარგთაშორისი ბალანსი (საქართველო - დანარჩენი სამყარო მსუბუქი მრეწველობის დარგობრივი კომპლექსის მაგალითზე), საქართველოს პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსი, საქართველოს პროდუქციის შემოტანისა და გატანის ბალანსები.

ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან საქართველოს ეკონომიკური კავშირები ამჟამად აღირიცხება საგარეო ეკონომიკური კავშირების ერთიან სისტემაში, საერთო წესის მიხედვით.

დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო ეკონომიკური სტატისტიკა 1991-1995 წლებში და მიმდინარე პერიოდში

1990-1993 წლები საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის პერიოდს. ხასიათდება ღრმა ეკონომიკური და ფინანსური კრიზისით. ინფლაციური პროცესები გადაიზარდა ჰიპერინფლაციურში. მატერიალური, ფინანსური და შრომითი ნაკადების მოძრაობა გამოვიდა კონტროლიდან. მოიშალა აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა.

დაიშალა საბჭოთა კავშირი. გაჩნდა თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო და თხუთმეტი დამოუკიდებელი ვალუტა ერთი სახელმწიფოსა და ერთი ვალუტის ადგილზე. შეიცვალა ახლად შექმნილი სახელმწიფოების დამოკიდებულება ურთიერთშორის და დანარჩენ სამყაროსთან. გააქტიურდა თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში დღემდე ნაყოფიერად მოღვაწეობენ მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვა.

მსოფლიო ბანკს ეკუთვნის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვლევა ერთიანი სტატისტიკური სისტემის ფარგლებში, მსოფლიო პრაქტიკასთან მიახლოების მცდელობით [6, გვ. 7-12, 211-252]. მსოფლიო ბანკმა შექმნა 1991-1993 წლების საგარეო ეკონომიკური სტატისტიკა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით, ეროვნული სტატისტიკური სამსახურების პირველადი ინფორმაციის ბაზაზე.

საგარეო ეკონომიკურ ასპექტში, სსრკ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის 1980-1990 წლების და მსოფლიო ბანკის 1990-1993 წლების სტატისტიკური სისტემების ძირითადი მახასიათებლებია: გეგმური ეკონომიკა-საბაზრო ეკონომიკა; ერთი ქვეყანა და ერთიანი ვალუტა - თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო და თხუთმეტი ვალუტა; სავალუტო კურსი ხელოვნურია და დადგენილი ადმინისტრაციული წესით-სავალუტო კურსი განსაზღვრულია საბაზრო პირობებით; რესპუბლიკათა შორის კავშირები არ არის საგარეო კავშირები-რესპუბლიკათა შორის კავშირები საგარეოა; საგადასახდლო ბალანსის სტატისტიკა არ არსებობს - საგადასახდლო ბალანსის სტატისტიკა არსებობს; საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ცენტრალიზებულია - საგარეო ვაჭრობის მონაცემები აღირიცხება საბაჟო სამსახურში; საგარეო ვაჭრობა აღირიცხება მანეთებში - საგარეო ვაჭრობა აღირიცხება აშშ დოლარებში ან ეროვნულ ვალუტაში; საგარეო ვაჭრობის მონაცემები შესაბამისობაში მოიყვანება "საგარეო ვაჭრობის ერთიან სასაქონლო ნომენკლატურასთან (ერს წევრი ქვეყნების)" - საგარეო ვაჭრობის მონაცემები შესაბამისობაში მოიყვანება "საქონლის აღწერისა და კოდირების პარამონიზებულ სისტემასთან (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის)".

1993 წლიდან მოყოლებული საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური - საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ამუშავებს 1. ექსპორტი-იმპორტის ბალანსს (საგარეო ვაჭრობის ბალანსს) 2. საგადასახდლო ბალანსს და 3. ერთობლივი საწარმოების ანგარიშგებას. იყენებს საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს, საბაჟო დეპარტამენტის, ფინანსთა სამინისტროს, ეროვნული ბანკის და სხვ. პირველად ინფორმაციას.

პირველადი ინფორმაცია ზემოთაღოთვლილ საგარეო-ეკონომიკურ მონაწილეებს შორის დანაწილებულია შემდეგი სახით: საბაჟო დეპარტამენტი-დეკლარაციები საქსპორტო მიწოდებებზე და იმპორტზე, საბაჟო გადასახადები, საბაჟო ტარიფები, პრეფერენციები, არასატარიფო ბარიერები, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო - უცხოური ინვესტიციები (პირდაპირი და პორტფელის), ფინანსთა სამინისტრო - საგარეო ვალის მდგომარეობა და სტრუქტურა

ტურა; ეროვნული ბანკი - მონეტარული მიმოხილვა, წმინდა უცხოური აქტივები და წმინდა საშინაო აქტივები.

ექსპორტ-იმპორტის ბალანსი ძირითადად მუშავდება საბაჟო დეპარტამენტის საინფორმაციო მასივის-დეკლარაციების ბაზაზე. მას ემატება მონაცემები სახელმწიფო კომპანია საქენერგოდან და სახელმწიფო კომპანია საქტრანს-გაზმრეწვიდან, შემოტანილ ელექტროენერგიაზე და გაზზე. ბალანსის სასაქონლო ნომენკლატურა შესაბამისობაშია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პარმონიზებულ სისტემასთან [7]. აერთიანებს ორობით, ოთხობით და ცხრანიშნიან კოდებს. 1993-1996 წლებისათვის ექსპორტ-იმპორტის ბალანსი დამუშავებულია ორობითი და ოთხობითი კოდების მიხედვით. მომავალში გათვალისწინებულია აღრიცხვა და ანალიზი ცხრანიშნიანი კოდების მიხედვითაც. ორობითი კოდი აერთიანებს 97 პოზიციას - ჯგუფს, რომლებიც აგრეგირდება 21 განყოფილებაში და დეზაგრეგირდება 1241 ოთხობით კოდში. ოთხობით კოდში საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ დამატებულია 14 პოზიცია, 4 შეცვლილია.

საქონლის ექსპორტისა და იმპორტის გარდა, მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის შემდგამებელი მაჩვენებლებიც აღირიცხება საგადასახდლო ბალანსში. საქართველოს საგადასახდლო ბალანსი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: 1. მიმდინარე ანგარიში. მასში შედის საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტი და წმინდა ტრანსფერტები. მომსახურების ექსპორტ-იმპორტი შედის სატრანსპორტო მომსახურება, სასტუმრო მომსახურება, საკომუნიკაციო მომსახურება (კავშირგაბმულობა, ტელევიზია). შესაბამისად პირველადი ინფორმაცია ეკუთვნის სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტს, საქართველოს საზღვაო დეპარტამენტს, საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტს და დამოუკიდებელ ავიაკომპანიებს, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომუწყებლობის კორპორაციას, სასტუმროებს, რომლებიც ემსახურებიან არარეზიდენტებს ("მეტეხი" და სხვ.) საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს; 2. კაპიტალის ანგარიში. ძირითადი მუხლია კაპიტალური ტრანსფერტები; 3. ფინანსური ანგარიში. აღირიცხება ინვესტიციები და კრედიტები.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური სტატისტიკის ერთ-ერთი შემდგენელი ნაწილია ერთობლივი საწარმოების რეგისტრაციის მასალები და ანგარიშგება.

ერთობლივი საწარმოები რეგისტრაციის გადიან რაიონულ სასამართლოებში. შემდგომ იღებენ საწარმოო საქმიანობის სფეროს შესახებ კოდს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 1996 წლის 26 დეკემბრის მონაცემებით საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 271 ერთობლივი საწარმო. მათ შორის, 199 - თბილისში, 26 - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ოცდაექვსივე ბათუმში), 41 - სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში (6 ფოთში), 10 - შიდაქართლის მხარეში (5 გორის რაიონში, 4 ხაშურის რაიონში), 3 - კახეთის მხარეში (7 თელავის რაიონში), 6 - ქვემო ქართლის მხარეში (3 რუსთავეში), 4 - მცხეთა თიანეთის მხარეში (ოთხივე თიანეთის რაიონში), 4 - სამცხე-ჯავახეთის მხარეში (3 ბორჯომის რაიონში), 3 - იმერეთის მხარეში. უცხოელი პარტნიორები უმეტესად წარმოდგენილი არიან თურქეთიდან - 46 ერთობლივ საწარმოში; აშშ-დან - 40 ერთობლივ საწარმოში, რუსეთიდან - 31 ერთობლივ საწარმოში, უკრაინიდან და გერმანიიდან - 12-12 ერთობლივ საწარმოში, ავსტრიიდან და იტალიიდან - 8-8 ერთობლივ საწარმოში და სხვა.

რეგისტრირებული ერთობლივი საწარმოებიდან ფუნქციონირებს მხოლოდ 43. მათ მიხედვით შექმნილია წლიური და კვარტალური ანგარიშგება. ანგარიშგების ფორმა დამუშავებულია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. ამჟამად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ანგარიშგება-აღრიცხვის სამუშაოთა კომპიუტეროზაციისათვის.

ბოლოს დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საქართველოს საგარეო ეკონომიკური კომპლექსი წარმოდგენილია საგარეო ეკონომიკური კავშირების სამი ფორმით: საგარეო ვაჭრობა (ტრადიციული ფორმა), საგარეო სავალუტო და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები, ერთობლივი საწარმოები (ახალი ფორმა). საგარეო-ეკონომიკურ ანალიზში და პროგნოზირებაში გამოიყენება საბალანსო მეთოდი. მუშავდება საგარეო ვაჭრობის ბალანსი და საგადასახდლო ბალანსი. საგარეო ეკონომიკური კავშირების ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს ურთიერთობები ახლო საზღვარგარეთის (დსთ) ქვეყნებთან და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებთან. საგარეო ეკონომიკურ მონაწილეებს შორის განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნებათ: საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს, საბაჟო დეპარტამენტს, ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, ეროვნულ ბანკს, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს და სხვ.

ლიტერატურა

1. ნათელაური ი. ერთობლივი წარმოების შექმნისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. თბილისი, "21-ე საუკუნე", 1992 წ.
2. ნათელაური ი. დღევანდლობა და საგარეო ეკონომიკური რეფორმა. ჟურნალი პოლიტიკა, N12, 1990 წ.
3. ნათელაური ი. საზღვარგარეთის ქვეყნებთან დარგობრივი თანამშრომლობა. ჟურნალი საქართველოს კომუნისტი, N6, 1989 წ.
4. *Статистика внешней торговли в СССР и государствах преемниках*. Всемирный банк - Исследования экономических систем на стадии трансформации, N18, 1995 г.
5. *Бюллетень товаров внешней торговли - дополнение к четвёртому изданию "Единой товарной номенклатуры внешней торговли стран - членов СЭВ"*, выпуск II, М., 1987 г.
6. *Государства бывшего Советского Союза*. Статистический сборник. Всемирный банк - Исследования экономических систем на стадии трансформации, N14, 1994 г.
7. *Товарная номенклатура внешнеэкономической деятельности СНГ (ТН ВЭД СНГ)*, Издание II, М., 1996 г.
8. *Внешняя торговля новых независимых государств*. Всемирный банк - Исследования экономических систем на стадии трансформации, N13, 1994 г.
9. *Внешние экономические связи СССР в 1988 г.* Статистический сборник, М., "Финансы и статистика", 1989 г.
10. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, თბილისი, გამომცემლობა "აზრი", 1996 წ.

Foreign Economical Statistics of Georgia in 1980-1995

Natelauri Iza

P.Gugushvili Institute of Economics
The Georgian Academy of Sciences
14, Kikodze Str., Tbilisi, 380007
Georgia

Summary: Foreign economical statistics of Georgia from 1985 to 1995 passed three stages of its development: period of centralized planning and control (1980-1985), period of foreign economical reforms - (1985-1990), present period (period of state independence and orientation to the market development - 1990-1995).

In this article is shown, that foreign economical statistics of present period is based on the foreign economical system in 1980-1985. It is given the comparable characteristics of statistics systems of each stage.

Внешнеэкономическая статистика Грузии в 1980-1995 годы

Нателаури Иза

380007, Тбилиси, ул. Кикодзе 14
Институт экономики им. П.Гугушвили
Академия Наук Грузии

Резюме. Внешнеэкономическая статистика Грузии в 1980-1995 годы прошла три этапа своего развития: период централизованного планирования и управления (1980-1985 годы), период внешнеэкономической реформы (1985-1990 годы), современный период (период независимости страны и рыночной ориентации развития - 1990-1995 годы).

В статье указывается, что внешнеэкономическая статистика современного периода частично основывается на системе внешнеэкономической статистики 1980-1985 годов; дается сравнительная характеристика статистических систем соответствующих периодов.

Schmoller's Political Economy: Self-Interest Versus the Higher Law

O'Brien John Conway

California State University, Fresno

5241 N. Maple Avenue

Fresno, California 93740-0054

USA

Received: February 14, 1996

Summary. In this paper only five character sketches of Schmoller's work *Charakterbilder* are examined. These are Friedrich List in whom Schmoller saw the embodiment of the personal characteristics, which he admired and respected above all others: Kilian Steiner, who was the kind of businessman, who aroused the admiration of Schmoller; Carl Geibel, according to Schmoller had wide interests of the spiritual life and the political events of his time; Ernst Abbe, whom Schmoller describes as one of Germany's greatest practical reformers a great idealist, in advance of many a one of his time, but he stood in harmony with their spiritual leaders; Gustav von Merrissen, whom Schmoller describes as the complete opposite of those social schemes who worked exclusively toward high dividends. He was a supporter neither of *laissez-faire* nor unrestricted free trade. Science and practice had to work together in harmony and bring about the free movement of the individual and the collective management of the economy by the State leading to the unity of a reasonable system.

For Schmoller these men were not activated by self-interest but by a love of their fellow men and the desire to promote the common good.

The author of essay describes the short biography of Schmoller and some of his main works concerning the great scotsman Adam Smith whose economic theories Schmoller did not accept. He was not the only critic of Adam Smith, at that time he had his very fervent supporters.

In his *Charakterbilder* Schmoller had unsured those who spent their lives in the pursuit of wealth, for he considered their goals not only worthy of the cultivated, patriotic individual Schmoller has shown that men of talent can still lead a very rewarding and satisfying life even when they elect to subordinate their self-interest, from an economic point of view, to a much more idealistic goal-common.

Mindful of the assertion of a renowned economist that even "a saint is engaged in the pursuit of his own self-interest," and rejecting out of hand this denial of man's capacity for magnanimity and self-sacrifice, I was drawn to Schmoller's *Charakterbilder*, knowing him to be a foe of man's *Egoismus* in the economic order, by the thought that he, too, would

nevertheless, paint a picture of men who were activated by their self-interest?

It goes without saying that man pursues his self-interest when he eats, sleeps and exercises regularly. It is also true to say that it is self-interest which prevents him from swallowing poison, or jumping in front of an electric train in the subway. Such self-interest is not to be condemned. However, the self-interest of the individual in the economic order, manifesting itself in a drive to acquire wealth, and that frequently at the expense of others, has aroused distaste and revulsion in the hearts of men from all walks of life.

Schmoller respected men of high ideals, men whose purpose was the advancement of civilization, the improvement of man's lot rather than that narrow, insular self-aggrandizement which he despised so much. In this present work, *Charakterbilder*, the fruit of the leisure he knew when he retired from teaching at the University of Berlin at age 75, he wrote of princes and statesmen, scholars and writers, civil servants and famous entrepreneurs, whether young or old. In this paper, for obvious reasons and due to restrictions of time and space, only five character sketches, four of which are of entrepreneurs, are examined.

I. SCHMOLLER, THE MAN

Gustav von Schmoller was born in 1838 in the town of Heilbronn on the Neckar in southwestern Germany. He died in 1917, one year before the end of World War I. He was said to be the only Swabian economist of any significance since the great patriot, Friedrich List [1, p.135]. In 1860, he distinguished himself as a *Preisträger* at the University of Tübingen for a dissertation on the German economy at the time of the Reformation. Four years later as a *Heilbronner Finanz-Referendar*, he dared to write an anonymous pamphlet entitled, "A World of Understanding," for the Franco-Prussian trade agreement against Württemberg's policy of protection [1, p.135].

Shortly thereafter, in 1864, he accepted a position at the University of Halle. Here, too, he found himself in an embattled position, this time, however, not with the State but with economic theory. He bemoaned the surrender in Germany of economic theory "under the influence of the epigones of the English classical economists, to the so-called Manchester school, to a rationalism carried to extremes." [10, p.3] In his own words, the young Schmoller described this trend as "the spiritual consumption of a rationalism completely detached from empiricism." [10, p.3]

Here in Halle, Schmoller became the spokesman for a *Sozialpolitik* as a result of his large monograph on the subject of German small industry and his "*kathedersozialistischen*"¹ followers, especially, Adolph Wagner and Lujo Brentano [1, p.135]. This led in 1872, when Schmoller was only 34, to the founding of the *Verein für Sozialpolitik*, a society that advanced the view that economists ought to participate in programs for social reform.

1 academic socialists

Most members of the Verein were quite conservative and they all agreed that liberal and social solutions for the economic problems of the day were Utopian, rationalistic simplifications. They presumed theirs to be vastly superior. They came to be known, ironically, as "Socialists of the Chair," a sardonic reference to their academic status. Their advocacy of practical reform was intended to strengthen the monarchy, for to them the crown always was above mundane class interest. Government intervention was not merely approved; it was urged as the sole way of assuring effective operation of the economy [13, p.9]

On many occasions, Schmoller had been considered for a position at the University of Berlin and when he finally reached that city in 1882, he had earlier been teaching at the new German University of Strassbourg. At Strassbourg, he found the main lines along which his research was to proceed: the social questions; historical research in various sectors of the economy and government; the creation of a methodology for a new doctrine of economics [10, p.4].

In 1880, he wrote the first comprehensive presentation of a theory of economic ideas and methodology. These views appeared as articles in the *Handwörterbuch der Staatwissenschaft*, 1893, and were reprinted in 1898 in the omnibus volume *Grundfragen der Sozialpolitik und der Volkswirtschaftslehre*.

Shortly before this, Schmoller had become involved in the notorious *Methodenstreit* when he failed to recognize the epoch-making significance of Carl Menger's *Grundsätze der Volkswirtschaftslehre*, 1870. Much later, 1883, Menger in his *Untersuchung über die Methode der Sozialwissenschaften* advanced his criticisms of the untheoretical *Historismus*, criticism since then embraced by the profession. In response to a pamphlet, a counter-plea written by Schmoller in 1884, Menger repeated some personally sharp remarks about the Berlin *Meister*. For the second time, Schmoller did not deign to reply. Earlier in 1883, he had called to Carl Menger with these words:

In the future, the national economy will come into a new epoch, but only through the increase of historical descriptive data that will not be created by the further distillation of the abstract passages of the old dogmatism, already distilled a hundred times [10, p.6].

This conflict really went beyond Schmoller and Menger. Moreover, the "subjective twist" of the Austrian school contained an anti-classical element [1, p.136].

Schmoller achieved fame with his editing of the *Jahrbuch für Gesetzgebung Verwaltung und Volkswirtschaft*, 1881, commonly known as *Schmollers Jahrbuch*. Around this time, he also produced the *Acta Borussiae*, an adaptation of deeds and documents of the Prussian government and the economy of the eighteenth century. Of this work, he himself says: "My most important life's work, of course, *die Acta*

borussica, are in the good hands of my colleagues so that it, can proceed further without me." [9, p.V].

On the other hand, Schmoller's *Grundriss der allgemeinen Volkswirtschaftslehre* is described elsewhere as "The acme of Schmoller's work." Seligman claims that Schmoller wrote this work, volume 1 of which was published in 1900, while volume 2 came in 1904, with some reluctance:

...for he felt that it was only a provisional synthesis of the mass of empirical historical data he and his colleagues had collected. Although based on lecture notes and previously published papers, it remains in many ways a fascinating monument to the art of fact-grubbing [13, p.10].

Seligman adds that this study of "general economic theory" had some illustrious predecessors in the historical investigations of Thomas Robert Malthus and Adam Smith, but that in the works of the latter the historical and empirical were overshadowed by the theoretical portions [13, p.10].

Yet other views of Schmoller's work are advanced, especially of the *Grundriss*, more favorable than those of Seligman. For example:

But the contrast with the known sociology of Albert Schaffles or the beautiful theory of Friedrich von Wieser shows just how universal economic and above all how magnificently inductive Schmoller's Grundriss is. This work reveals an understanding of economic realities and economic theory in their relativity and also in their eternal-relationship. For this reason, the Grundriss is not merely a monument which encompasses a life's work, "it is, if not a textbook on economic problem-solving machines but in the age of welfare economics, a first attempt to compare universal values and to deal with them systematically." [1, p.136].

In order to produce his *Charakterbilder*, Schmoller wrote in 1912 "When one is close to 75 years of age, one has to set one's legacy in order, especially one's literary remains. For this reason I asked the Ministry of Education to release me from important lectures, beginning Easter, 1913." [9, p.V].

This work was published in 1913. Certain parts of it are the main concern of this paper. With reference to Seligman's remark that the members of the *Verein für Socialpolitik* were strong supporters of the monarch, one finds of interest the first few sentences of Schmoller's first essay, that on Friedrich Wilhelm I:

A few days ago we celebrated the 25th anniversary of the day which brought the establishment of the German Empire. If we have again gathered here today to celebrate the birthday of His Majesty, our Emperor and King, we are in this way revived by the same feeling, one of gratitude to the ruling family, to which above all the State of Prussia owes its existence. [9, p.1]



II. ADAM SMITH, DER GROSS SCHOTTE

Schmoller had great admiration for the great Scotsman, Adam Smith. But Schmoller did not accept his economic theories. In his *Charakterbilder* and in the *Grundriss* as well as elsewhere he tells why.

Schmoller's essay in his *Charekterbilder* on Adam Smith was first published in 1907, 131 years after the publication of *The Wealth of Nations*. Through many German writers, among others, Schmoller claims the ability to evaluate the work of Adam Smith.

20912


It is possible today for us to understand Smith as a Scotsman, as an errand boy of Calvinism and of devout theists, as one who put the finishing touches to English moral philosophy, and as sociologist, and in so doing to understand the assumptions out of which his whole economic theory grew. [9, p.126].

Scotland, Schmoller describes as a small, slightly populated, poor land. Its people are descended from strong and clever members of the Celtic and North German races. In the middle ages, it had a large clergy almost independent of Rome, and this clergy owned ecclesiastical property equal in value to half the kingdom. A defiant unyielding nobility seized for itself this church property during the Reformation. John Knox, a fiery Calvinist, concluded the Reformation. Thereafter, the church and the Protestant nobility founded an almost theocratic, Calvinistic community, separated from England by race and church in spite of common kings.

Nowhere, according to Schmoller, has the spirit to Calvinism succeeded with its doctrine of the calling, its dominion of the predestined and sanctified, its democratic challenge of individualism, and its strong church discipline, as it has in Scotland.

Unrestricted devotion to the calling, systematic use of time and the development of the sense of acquisition were encouraged by these shrewd, hard and honorable Scotsmen: "In commercial and civil circles, the constant striving for riches has become almost a divine service." [9, p.127]. Here Schmoller points to the superb work of Ernst Troeltsch and Max Weber on the connexion of the economic with the moral and spiritual life ... *uberhaupt und speziell in Schottland.*

Calvinism and the Presbyterian conception of the church were favorable to the study of law, history, ethics and philosophy. In the 18th century, the leading scientific scholars, superior even to those of England, were David Hume, Adam Ferguson and Adam Smith. According to Schmoller, Adam Smith distinguished himself by intellectual concentration, cut off from the world. He was easily distracted, absentminded, and not given to extensive discourse with people. As a psychologist, his strength revealed itself not so much in observation as in his ability to analyze. Referring to the writings of W.Hasbach, Schmoller repeats the former's views that Smith was a predominantly gifted critic, who saw with great shrewdness the faults and weaknesses of his predecessors and was able to develop the essentials of their theories and blend them into an excellent, unified and harmonious system.



In some detail, Schmoller analyzes Smith's works: 1. *The Theory of Moral Sentiments*, 1759; 2. *Lectures on Justice, Police, Revenue and Arms*, 1763; 3. *The Wealth of Nations*, 1776.

Before he wrote *The Wealth of Nations*, points out Schmoller, Smith had a revulsion for mercantilism.

What he actually saw in London and Paris was the ugly scene of degenerate and decrepit mercantilism. In Paris, he became acquainted with the first victories of a Physiocratic, liberal movement. The actual economic boom in France from 1760 on appeared to him as confirmation of his theories just as the English depression of 1760-83 probably presented itself, the financial bankruptcy of the land at that time, the loss of the United States as proof of the complete rottenness of the existing protection and colonial systems. The abnormality and degeneration of the English custom and rebate systems, the venality of Parliament for this or that interest, the corruption of the whole system has never appeared stronger in the London of today than in the time when Adam Smith was able personally to observe those things there [9, pp.128-9].

ეკონომისტები, რომლებიც მხარს უჭერენ კონკურირებადი შემოტანის შემთხვევაში (5)-(6) მოდელს, ან მის საფუძველზე აგებული სხვა კონსტრუქციების გამოყენებას, მხედველობიდან უშვებენ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც, შეიძლება ითქვას, საფუძველია დარგთაშორისი ბალანსის მოდელის აგებისა და გამოყენებისა. დარგთაშორის ბალანსში პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტები გამოსახავენ არა უბრალოდ საშუალო დანახარჯებს პროდუქციის ერთეულზე, არამედ, ამავე დროს, წარმოადგენენ პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელ აგრეგირებულ ტექნოლოგიურ ნორმებს, რომელთა სიდიდის განსაზღვრას საფუძვლად უდევს წარმოების კონკრეტული ტექნოლოგიები. A' მატრიცას, რომელიც მოცემულია (5)-(6)-ში, არ შეიძლება ეწოდოს ტექნოლოგიური მატრიცა კონკურირებადი იმპორტის დროს, რადგანაც დანახარჯების იმ ნორმატივებით, რომლებიც A' მატრიცის სვეტებშია მოცემული, სინამდვილეში შეუძლებელია წარმოების განხორციელება და, შესაბამისად, პროდუქციის გამოშვება. ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტია და ეკონომიკური ანალიზის პროცესში მისმა გაუთვალისწინებლობამ შეიძლება არასწორ დასკვნებამდე მიგვიყვანოს. ამის ერთ-ერთი მაგალითია [1]-ში რეგიონალური მოდელის (4)-ის სრული დანახარჯების კოეფიციენტების ინტერპრეტაციის მცდელობა. [1]-ის ავტორი, აძლევს რა (4)-თან შედარებით (5)-(6) მოდელს უპირატესობას და ცდილობს დაამტკიცოს, რომ მე-(4) მოდელში $(I - A)^{-1}$ მატრიცა თითქოსდა არ გამოსახავს რეგიონალური სრული დანახარჯების კოეფიციენტებს, A მატრიცას განიხილავს $A' + R$ ჯამის სახით, ხოლო მატრიცულ მწკრივს

$$C = A + A^2 + \dots + A^m + \dots$$

შემდეგნაირად წარმოადგენს

$$C = (A' + R) + (A' + R)^2 + \dots + (A' + R)^m + \dots$$

ვიდრე მატრიცა $A' + R$ მთლიანობაში აღებული განიხილება, არავითარ წინააღმდეგობასთან არა გვაქვს საქმე. მაგრამ რეალურობისაგან გადახრა იწყება მას შემდეგ, როგორც კი $(A' + R)$, $(A' + R)^2$, ... მატრიცების დაშლა ხდება ელემენტებად და იწყება აბერირება ამ ელემენტებით. მაგალითისათვის ავიღოთ $(A' + R)^2$ მატრიცის დაშლა

$$(A' + R)^2 = A'^2 + RA' + A'R + R^2.$$

მათემატიკურად, რა თქმა უნდა, აქ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ეკონომიკურად მოცემული გამოსახულების მარჯვენა მხარეს აზრი არა აქვს. საქმე იმაშია, რომ მე(4) მოდელში A' და R მატრიცების დამოუკიდებელი განხილვით, ფაქტიურად, ვალიარებთ - პროდუქციის გამოშვება ეკონომიკაში შეიძლება განხორციელდეს სამი ტექნოლოგიით: ერთ ტექნოლოგიას შეესაბამება $(A'+R)$ მატრიცა, რომელიც მართლაც წარმოადგენს ტექნოლოგიურ მატრიცას, მეორეს - A' მატრიცა, ხოლო მესამეს - R მატრიცა. თუ დავუშვებთ, რომ A' ტექნოლოგიით შეიძლება წარმოების განხორციელება, როგორც ამას პ.კლინი აკეთებს, მაშინ A'^2 და RA' მატრიცები შინაარსობრივად წარმოადგენენ რეგიონის შიგნით A' ტექნოლოგიით რეგიონალური პროდუქციის გამოშვებაზე, შესაბამისად, ადგილობრივი და შემოტანილი პროდუქტების პირველი რიგის არაპირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცებს, ანალოგიურად, თუ დავუშვებთ, რომ R ტექნოლოგიით შესაძლებელია წარმოების განხორციელება, მაშინ $A'R$ და R^2 მატრიცები [1, გვ.25-26]-ის თანახმად გამოსახვენ რეგიონის გარეთ R ტექნოლოგიით შემოსატანი პროდუქციის წარმოებაზე, შესაბამისად, რეგიონის და შემოსატანი პროდუქტის პირველი რიგის არაპირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცებს.

პ.კლინი გრძნობს, რომ $A'R + R^2$ ტიპის დანახარჯები "არაადეკვატური არიან ნამდვილი დანახარჯების" [1, გვ.30] და რეგიონალური მოდელის საზღვრებში ისინი არ შეიძლება არსებობდნენ. აქედან გამომდინარე, იგი აკეთებს დასკვნას, თითქოსდა $(I-A)^{-1}$ მატრიცა არასწორ წარმოდგენას იძლეოდეს რეგიონალური სრული დანახარჯების კოეფიციენტების შესახებ.

უდავოა, რომ $A'R + R^2$ დანახარჯები, ისევე, როგორც $A'^2 + RA'$ დანახარჯები, არაადეკვატური არიან სინამდვილის მიმართ. უფრო მეტიც, ასეთი დანახარჯები არ შეიძლება არსებობდნენ, რადგანაც შეუძლებელია წარმოების განხორციელება A' და R ტექნოლოგიით. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არარეალურად მივიჩნიოთ, აგრეთვე $A^2 = (A'+R)^2$ ან $(I-A)^{-1}$ დანახარჯები. ძირითადი შეცდომა, რომელმაც პ.კლინი ზემოთ აღნიშნულ არასწორ დასკვნამდე მიიყვანა, იმაში მდგომარეობს, რომ მან არ გაითვალისწინა ეკონომიკური რეალობა, რომელიც არ გაითვალისწინება, აგრეთვე, (5)-(6) მოდელში.

ღია ეკონომიკის დარგთაშორისი მოდელი შუალედური და საბოლოო მოხმარების პროდუქტთა განცალკევებული ნაკადებით

იმისათვის, რომ ავაგოთ (4) და (5)-(6) მოდელების ნაკლოვანებებისაგან თავისუფალი ღია ეკონომიკის დარგთაშორისი კავშირების მოდელი, კვლავ დავუბრუნდეთ (1) იგივეობას და შემდეგნაირად გადავწეროთ

$$X + M^z + M^y = \sum_{j=1}^n Z_j + \bar{Y} + E^z + E^y. \quad (8)$$

მთლიანი გამოშვების X ვექტორი შემდეგი ჯამის სახით გამოვსახოთ

$$X = Z + Y,$$

4 თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ $(A'+R)^2$ მატრიცის ზემოთ მოყვანილი გამლა ეკონომიკურად დაუშვებელია, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია $A'R$ და R^2 მატრიცების აღნიშნული ინტერპრეტაცია.

სადაც Z არის ქვეყანაში წარმოებულ შუალედური მოხმარების პროდუქტთა ვექტორი; Y - ქვეყანაში წარმოებულ საბოლოო მოხმარების პროდუქტთა ვექტორი. მაშინ მივიღებთ

$$Z + Y + M^Z + M^Y = \sum_{j=1}^n Z_j + \bar{Y} + E^Z + E^Y. \quad (9)$$

ცხადია, ეს იგივეობა შემდეგი ორი იგივეობის ეკვივალენტურია

$$Z + M^Z = \sum_{j=1}^n Z_j + E^Z;$$

$$Y + M^Y = \bar{Y} + E^Y.$$

მოცემულ სისტემაში პირველი იგივეობა წარმოადგენს შუალედურ პროდუქტთა წარმოქმნისა და გამოყენების ბალანსს, მეორე იგივეობა კი - საბოლოო მოხმარების პროდუქტთა წარმოქმნისა და გამოყენების ბალანსს.

იგივეობათა სისტემიდან გარდაქმნის განტოლებათა სისტემაზე გადასასვლელად, ისევე, როგორც მე-(4) მოდელში, აქაც დავუშვათ, რომ შუალედურ პროდუქტთა დანახარჯების ფუნქციას აქვს სახე $Z_{ij} = a_{ij} X_j$, სადაც Z_{ij} არის j დარგში გამოყენებულ i შუალედური პროდუქტის რაოდენობა. მაშინ ჯამური შესაკრები $\sum_{j=1}^n Z_j$ შეგვიძლია შევცვალოთ ნამრავლით- AX და ზემოთ მოყვანილ იგივეობათა სისტემა განტოლებათა სისტემად გარდაიქმნება:

$$Z = AX + E^Z - M^Z, \quad (10)$$

$$Y = \bar{Y} + E^Y - M^Y. \quad (11)$$

შევაგსოთ მოცემული სისტემა კიდევ ერთი განტოლებით

$$X = Z + Y. \quad (12)$$

მაშინ მივიღებთ ღია ეკონომიკის დარგთაშორისი ბალანსის მოდელის ვარიანტს, რომელიც თავისი თვისებებით რამდენადმე განსხვავდება მე-(4) მოდელისაგან. ამაში დასარწმუნებლად გამოვიკვლიოთ (10)-(12).

დაწვრილებით შევჩერდეთ მე-(10) განტოლებაზე, რადგანაც იგი წამყვან როლს თამაშობს მოდელის მთლიან კონსტრუქტიაში. შევცვალოთ ამ უკანასკნელში X -ის მნიშვნელობა (12)-დან, მივიღებთ

$$Z = A(Z + Y) + E^Z - M^Z.$$

სიმარტივისათვის ჩავთვალოთ, რომ ქვეყნის ეკონომიკაში შუალედური და საბოლოო მოხმარების პროდუქტთა წარმოების ტექნოლოგია ერთი და იგივეა და A მატრიცით განისაზღვრება. მაშინ შეგვიძლია ჩავწეროთ

$$Z = AZ + AY + E^Z - M^Z. \quad (13)$$

(13) არის ღია ეკონომიკისათვის შუალედური მოხმარების პროდუქტების განახლებისა და გამოყენების განტოლება. მასში საძიებელია Z ვექტორი, ხოლო Y და $E^Z - M^Z$ ეკზოგენურად მოიკვება. ამასთან, AZ არის შუალედური პროდუქტების

- 5 ადვილად შევნიშნავთ, რომ ანალოგიურ დაშვებაზეა აგებული, აგრეთვე, მე-(4) მოდელიც. რა თქმა უნდა, უფრო რეალისტური იქნება, თუ A მატრიცის ნაცვლად განვიხილავთ Az და Ay მატრიცებს, რომლებიც წარმოადგენენ, შესაბამისად, შუალედურ და საბოლოო პროდუქტთა წარმოებაზე დანახარჯების ტექნოლოგიურ მატრიცებს. მაშინ (13) მიიღებს სახეს $Z = AzZ + AyY + E^Z - M^Z$.

ნაწილი, რომელიც პირდაპირ იხარჯება შუალედური მოხმარების პროდუქტების წარმოებაზე; AY -შუალედური პროდუქციის ნაწილი, რომელიც პირდაპირ იხარჯება საბოლოო მოხმარების პროდუქტების წარმოებაზე; $(E^Z - M^Z)$ -შუალედური მოხმარების პროდუქტთა ექსპორტ-იმპორტის სალდო.

(13)-ში მნიშვნელოვან როლს თამაშობს $Z^Y = AY + E^Z$ ელემენტი, რომელიც გამოხსნავს შუალედურ პროდუქტზე პირდაპირ მოთხოვნას საბოლოო პროდუქტისა და ექსპორტის მხრიდან. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკონომიკური სისტემის საბოლოო მიზანია საბოლოო პროდუქტის გამოშვება და სხვა ქვეყნებთან ეკონომიკურ წონასწორობაში ყოფნა Z^Y -ს შეიძლება ეწოდოს საწარმოო სისტემაზე დატვირთვის მაჩვენებელი. ამ დატვირთვის დაკმაყოფილების ერთ-ერთ წყაროს, ბუნებრივია, წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის საწარმოო სიმძლავრეების შესაძლებლობანი, მაგრამ არანაკლები როლი შეუძლია ითამაშოს იმპორტმაც- M^Z . ცხადია, ნორმალურ ეკონომიკაში შუალედური მოხმარების პროდუქტებზე Z^Y მოთხოვნა ძირითადად ადგილობრივი წარმოებით უნდა დაკმაყოფილდეს. ამავდროს გამორიცხული არ არის, აგრეთვე, იმის შესაძლებლობა, რომ ცალკეული სახის შუალედური პროდუქტი, ან ყველა მათგანი (ეს უკანასკნელი მხოლოდ თეორიულადაა დასაშვები) იმაზე მეტი რაოდენობით შემოიტანება, რაზეც არსებობს პირდაპირი მოთხოვნა ქვეყანაში საბოლოო პროდუქციის წარმოების მხრიდან. ასეთ სიტუაციაში $Z^Y - M^Z$ ვექტორის ცალკეული ელემენტი ან ყველა მათგანი უარყოფითი იქნება. როცა $Z^Y - M^Z$ ვექტორი არაუარყოფითია, მაშინ მისი ელემენტები შინაარსობრივად გამოსახავენ შუალედურ პროდუქციითა რაოდენობას, რომელიც ქვეყანაში უნდა ვაწარმოოთ საბოლოო პროდუქტთა გამოსაშვებად და ექსპორტისათვის. თუ მოცემული $Z^Y - M^Z$ ვექტორის ელემენტი უარყოფითია, მაშინ ეს ელემენტი გვიჩვენებს გარედან შემოტანილი შესაბამისი შუალედური პროდუქტის რაოდენობას, რომელიც რესურსის სახით გავააჩნია და შეგვიძლია გამოვიყენოთ შუალედურ პროდუქტთა წარმოების პროცესში. და ბოლოს, როცა $(Z^Y - M^Z)$ -ის ყველა ელემენტი უარყოფითია, მაშინ მთლიანობაში მოცემულ ვექტორს შეიძლება ვუწოდოთ ჰარბი იმპორტის ვექტორი, რადგანაც ასეთ შემთხვევაში შუალედური პროდუქტების შემოტანით არა თუ მთლიანად კმაყოფილება ქვეყანაში საბოლოო პროდუქტების წარმოება, არამედ ამ შემოტანის გარკვეული რაოდენობა - $(-Z^Y + M^Z)$ გამოუყენებელი რჩება. ბუნებრივია, ეს შემთხვევა არანორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და საღი აზრიდან გამომდინარე, (10)-(12)-ში იგი განხილვიდან უნდა გამოვირიცხოთ.

მაშ ასე, $Z^Y - M^Z$ ვექტორის ელემენტებს ორმაგი ეკონომიკური შინაარსი გააჩნიათ, იმისდა მიხედვით, თუ რა ნიშნისანი არიან ისინი: დადებითი ელემენტი გამოსახავს პირდაპირ მოთხოვნას ქვეყანაში შესაბამისი შუალედური პროდუქტის წარმოებაზე; უარყოფითი ელემენტი - პირდაპირი მოთხოვნის ზემოთ შემოტანილი შუალედური პროდუქტის რაოდენობას, რომელიც ქვეყნის ეკონომიკაში რესურსის ფუნქციას ასრულებს შუალედური პროდუქტების წარმოებისათვის.

დავუშვათ $Z^Y - M^Z \geq 0$. მაშინ (13)-ში Z გამოსახავს ქვეყანაში სააწარმოებელი შუალედური პროდუქტის ვექტორს და შემდეგნაირად განისაზღვრება

$$Z = (I - A)^{-1} (Z^Y - M^Z). \quad (14)$$

(14)-დან გამომდინარეობს, რომ თუ შემოტანილი შუალედური პროდუქტი M^Z სიდიდითა და დარგობრივი სტრუქტურით საკმარისია ქვეყანაში საბოლოო პროდუქტის წარმოებისათვის და ექსპორტისათვის, ე.ი. $AY + E^Z = M^Z$, მაშინ ეკონომიკაში შუალედურ პროდუქტთა წარმოების საჭიროება არ არსებობს და ამიტომაც $Z = 0$. (14) გვიჩვენებს, აგრეთვე, რომ როცა შუალედურ პროდუქტზე პირდაპირი მოთხოვნა საბოლოო პროდუქტისა და ექსპორტის მხრიდან გადაამეტებს M^Z -ს, მაშინ $Z \geq 0$, ე.ი. ქვეყანაში იწარმოება გარკვეული რაოდენობის შუალედური პროდუქტი, რომლის სიდიდე დამოკიდებულია, ერთის მხრივ, სრული

დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცაზე, მეორეს მხრივ - იმპორტით დაუქმავალზე პირდაპირ მოთხოვნაზე.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია შემთხვევა, როცა $Z^Y - M^Z$ მთლიანად უარყოფითია ან უარყოფით ელემენტებს შეიცავს. ასეთ სიტუაციაში (10)-(12) მოდელში და, შესაბამისად, მე-(13) განტოლებაში საჭიროა გარკვეული კორექტივების შეტანა, რადგანაც მოცემული $Z^Y - M^Z$ ვექტორისათვის (13)-დან შეიძლება მივიღოთ Z ვექტორი, რომელიც არც რაოდენობრივად და არც შინაარსით არ გამოსახავს ქვეყანაში გამოსაშვები შუალედური პროდუქტების მნიშვნელობას. ამაში დასარწმუნებლად განვიხილოთ შემდეგი მარტივი სიტუაცია, რომელიც რეალურისაგან არც თუ ისე შორსაა. ვთქვათ, $Q = Z^Y - M^Z$ ვექტორის ყველა ელემენტი უარყოფითია, გარდა ერთისა. სიცხადისათვის ჩავთვალოთ, რომ $q_1 > 0$, $q_i = 0$, $i = 2, \dots, n$. მაშასადამე, ჩვენი დაშვების თანახმად, ქვეყანაში პირდაპირი მოთხოვნა არსებობს მხოლოდ პირველ დარგის შუალედური პროდუქტის წარმოებაზე, დანარჩენი სახის შუალედური პროდუქტები კი ჰარბი რაოდენობით შემოიტანება გარედან და რესურსების როლს ასრულებს. ამასთან ჩავთვალოთ, რომ ეს რესურსები იმდენად დიდი რაოდენობითაა შემოტანილი, რომ შესაძლებელია მათ საფუძველზე პირველი დარგის შუალედური პროდუქტის ნებისმიერი საჭირო რაოდენობით წარმოება.

ამ შემთხვევაში ქვეყანაში წარმოებული შუალედური პროდუქტის ვექტორს Z -ს უნდა ჰქონდეს სახე $Z = (Z_1, 0, \dots, 0)^T$, ე.ი. ნულისაგან განსხვავებული უნდა იყოს Z -ის მხოლოდ პირველი ელემენტი (აზრი არა აქვს დანარჩენი შუალედური პროდუქტების წარმოებას, რადგანაც ისინი ისედაც ჰარბი რაოდენობით შემოიტანება გარედან). მაგრამ, თუ Z -ის განსაზღვრისათვის ვისარგებლებთ (13)-ით, ან რაც იგივეა (14)-ით, ძალიან დიდი იმის ალბათობა, რომ ამ გზით მიღებული Z მთლიანად უარყოფითი აღმოჩნდეს და შინაარსობრივად, უდავოა არ იქნება შუალედურ პროდუქტთა გამოშვების ვექტორი. როდესაც (14)-იდან მიღებული Z ნაწილობრივ ან მთლიანად უარყოფითია, ეს იმის ნიშანია, რომ ქვეყანაში იმპორტული შუალედური პროდუქტი ჰარბად შემოიტანება. აქედან გამომდინარე:

1) Z -ის ნებისმიერი უარყოფითი i ელემენტი გამოსახავს ქვეყანაში i დარგის შუალედური პროდუქტის გამოშვებაში იმ შესაძლო ეკონომიის სიდიდეს, რომელსაც მივიღებთ, თუკი ჰარბად შემოტანილი იმპორტული შუალედური პროდუქტი მთლიანად იქნება წარმოებაში გამოყენებული;

2) Z -ის დადებითი i ელემენტი გვიჩვენებს i დარგის შუალედური პროდუქტის იმ შესაძლო გამოშვების სიდიდეს, რომელსაც მივიღებთ, თუკი შემოტანილი შუალედური პროდუქტები მთლიანად იქნება წარმოებაში გამოყენებული.

როგორი უნდა იყოს დარგთაშორისი ბალანსის მოდელის სახე, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში უარყოფითი Z ვექტორის ნაცვლად მივიღოთ რეალურობის შესაბამისი $Z = (Z_1, 0, \dots, 0)^T$ ამინახსნი? ძნელი არ არის მივხედეთ, რომ საძიებელი ვექტორი შემდეგ დამოკიდებულებათა სისტემიდან უნდა განვსაზღვროთ

$$Z_i = \alpha_i Z_i + q_i,$$

$$\alpha_{ii} Z_i \leq |V_i|, i = 2, \dots, n,$$

$$Z_i = 0 \quad i = 2, \dots, n.$$

თუ ზოგად შემთხვევაზე გადავალთ, მაშინ ეს სისტემა, რა თქმა უნდა, რამდენადმე გართულებდა. მართლაც, აღვნიშნოთ $Q = Z^Y - M^Z$ ვექტორში არაუარყოფით ელემენტების ინდექსთა სიმრავლე J_1 -ით, ხოლო უარყოფითი ელემენტების შესაბამის ინდექსთა სიმრავლე J_2 -ით: $J_1 \cup J_2 = \{1, 2, \dots, n\}$. გარდა ამისა, Q -ს დადებითი ელემენტის აღსანიშნავად, როგორც აქამდე, ვიხმაროთ q_i სიმბოლო, უარ-

ყოფითი ელემენტისათვის კი $-|q_i|$ მაშინ (13) განსახილველი შემთხვევისათვის უნდა გარდაეკმნათ შემდეგ საოპტიმიზაციო ამოცანად:

$$Z_i = \sum_{j \in J_1 \cup J_2} \alpha_{ij} Z_j + q_i \quad i \in J_1 \quad ; \quad (15)$$

$$Z_i + |q_i| \geq \sum_{j \in J_1 \cup J_2} \alpha_{ij} Z_j, \quad i \in J_2 \quad , \quad (16)$$

$$Z_j \geq 0 \quad j \in J_1 \cup J_2 \quad , \quad (17)$$

$$\sum_{i \in J_2} Z_i \rightarrow \min. \quad (18)$$

მოცემულ ამოცანაში (15) წარმოადგენს დაოგთა J_1 სიმრავლის მიერ ქვეყანაში წარმოებულ შუალედურ პროდუქტთა განაწილებისა და გამოყენების ბალანსს. იგი გვიჩვენებს, რომ ყოველი i -სათვის პროდუქტის ერთი ნაწილი მოიხმარება თვითონ შუალედურ პროდუქტთა წარმოებაში, მეორე ნაწილი- q_i გამოიყენება საბოლოო პროდუქტთა წარმოებაში და ექსპორტისათვის. (16) გამოსახავს უკვე დარგთა და-ნარჩენი J_2 სიმრავლის მიერ როგორც ქვეყანაში წარმოებულ, ისე შემოტანილ შუალედურ პროდუქტთა განაწილებისა და გამოყენების პირობას. ეს პირობა რესურსებზე ჩვეულებრივი შეზღუდვის ფორმას ატარებს და გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი i ($i \in J_2$) სახის შუალედური პროდუქტის წარმოებული და შემოტანილი რაოდენობა მთლიანობაში არანაკლები უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკაში ამ პროდუქტების მოხმარების სიდიდეზე. რაც შეეხება მიზნის ფუნქციას-(18)-ს, იგი განიხილება იმ ქვეყნის მიხედვით, რომელიც ამოცანის შემთხვევაში არ დაუშვავთ კიდევ შესაბამისი პროდუქტების დამატებითი წარმოება.

დაბეჭითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ (15)-(18)-დან მიღებული ამონახსნი Z შინაარსობრივად და რაოდენობრივად ყოველთვის გამოსახავს ქვეყანაში შუალედური პროდუქტის გამოშვების ვექტორს.⁶ იმისდა მიხედვით თუ როგორი იქნება ეკონომიკურად მოცემული Q ვექტორის მნიშვნელობა, (15)-(18)-დან განსაზღვრული შუალედური გამოშვება დარგების ნაწილისათვის ან ყველა მათგანისათვის შეიძლება დადებითი ან ნულის ტოლი აღმოჩნდეს.

(15)-(18) ამოცანის ოპტიმალური ამოხსნის თვისებების გამოკვლევისათვის (16) შემდეგი სახით გადავწეროთ

$$Z_i + |q_i| = \sum_{j \in J_1 \cup J_2} \alpha_{ij} Z_j + d_i \quad i \in J_2 \quad , \quad (19)$$

6 მაშინ, როცა q_i -ს გარკვეული მნიშვნელობისათვის (13)-დან განსაზღვრული Z , როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულ სხვა შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელი ხდება.

სადაც d_i არაუარყოფითი ცვლადია და აღნიშნავს i სახის შუალედური პროდუქტების გამოყენებულ (ჭარბ) სიდიდეს. (7)-ში (15)-(18)-ის მსგავსი მათემატიკური ამოცანისათვის ნაჩვენებია, რომ ოპტიმალური ამონახსნის პირობებში აუცილებლად სრულდება ტოლობა

$$Z_i^* d_i^* = 0, \quad i \in J_2. \quad (20)$$

აქედან გამომდინარეობს, რომ

1) თუ რომელიმე i დარგის ($i \in J_1$) შუალედური პროდუქტი შემოტანილია მეტისმეტი რაოდენობით და ვერ ხერხდება მისი სრული გამოყენება, ე.ი. $d_i^* > 0$, ქვეყანაში არ მოხდება ამ დარგის შუალედური პროდუქტის გამოშვება და $Z_i^* = 0$;

2) თუ ქვეყანაში იწარმოებს რომელიმე i დარგის ($i \in J_2$) შუალედური პროდუქტი, ე.ი. $Z_i^* > 0$, მაშინ ამ პროდუქტის როგორც შემოტანილი, ასევე წარმოებული მოცულობა მთლიანად იქნება გამოყენებული, ე.ი. $d_i^* = 0$.

გარდა ამისა, შეიძლება ვარაუდოთ, რომ თუ მოცემული Q ვექტორისათვის, რომელშიც $q_i > 0 \quad i \in J_1$ და $q_i < 0 \quad i \in J_2$, (15)-(18) ამოცანის ოპტიმალური ამონახსნი Z^* დადებითია, ე.ი. $Z_i^* > 0 \quad i \in J_1, J_2$, მაშინ ეს ვექტორი ერთდროულად წარმოადგენს მე-(13) განტოლების ამონახსნს.

დამტკიცება. ვთქვათ Z^* არის (15)-(18)-ის ოპტიმალური გეგმა და $Z > 0$. მაშინ (20)-დან და (19)-დან გამომდინარე გვექნება

$$Z_i^* = \sum_{j \in J_1, J_2} a_{ij} Z_j^* + q_i, \quad i \in J_1,$$

$$Z_i^* = \sum_{j \in J_1, J_2} a_{ij} Z_j^* - |q_i|, \quad i \in J_2.$$

ეს სისტემა კი შეგვიძლია შემდეგნაირად გადავწეროთ

$$Z^* = AZ^* + Q$$

$$\text{ანუ } Z^* = (I-A)^{-1} Q = (I-A)^{-1} (Z^Y - M^Z).$$

თავის მხრივ (13)-დან ვღებულობთ

$$Z = (I-A)^{-1} (Z^Y - M^Z).$$

მაშასადამე $Z = Z^*$.

(15)-(18) ამოცანის ზემოთ აღწერილი თვისებები საშუალებას გვაძლევს გავაყუთოთ შემდეგი დასკვნა. ვიდრე მოცემული Q -სათვის (ან რაც იგივეა მოცემული Y , E^Z და M^Z -ისათვის) მე-(13) განტოლებას არაუარყოფითი ამონახსნი აქვს, ქვეყანაში გამოსაშვები შუალედურ პროდუქტთა საძიებელი მნიშვნელობა (14)-ის საფუძველზე უნდა განვსაზღვროთ. სხვანაირად, მე-(13) მოდელი მუშა მდგომარეობაში იმყოფება მანამ, სანამ მოცემული Q -სათვის $Z \geq 0$. მაგრამ, თუ ცალკეული სახის შუალედურ პროდუქტთა შემოტანა იმდენად დიდია, რომ არ ხერხდება ქვეყნის ეკონომიკაში მათი სრული გამოყენება და, აქედან გამომდინარე, მოცემული Q -სათვის (14)-იდან განსაზღვრული Z ვექტორი უარყოფით ელემენტებს შეიცავს, მაშინ შუალედურ პროდუქტთა გამოშვების საძიებელი მოცულობა უნდა განისაზღვროს (15)-(18) მოდელის საფუძველზე. მაშასადამე, (10)-(12) და (15)-(18) დამოკიდებულებები ერთმანეთს ავსებენ და საშუალებას იძლევიან გავაანალიზოთ

დართაშორისი კავშირები და შუალედური და საბოლოო მოხმარების პროდუქტების წარმოების კანონზომიერებები ექსპორტი-იმპორტის ნებისმიერი შესაძლო შემთხვევისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნორმალურ ეკონომიკაში იშვიათად თუ შეიქმნება სიტუაცია, რომლის ანალიზისათვის საჭირო იქნება (15)-(18) სისტემის გამოყენება. ამიტომ ღია ეკონომიკის დარგთაშორისი მოდელის ძირითად ვარიანტს წარმოადგენს (10)-(12).

შვედართა ერთმანეთს ჩვენს მიერ აგებული (10)-(12), (15)-(18) მოდელის და მე-(4) მოდელის თვისებები. აუცილებელია ხაზი გავუსვათ ორ მნიშვნელოვან განსხვავებას, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს აღნიშნული მოდელის ზემოთ ჩატარებული გამოკვლევებიდან.

1. (10)-(12), (15)-(18) მოდელში თუ ადგილი აქვს ქვეყანაში საბოლოო პროდუქტის გამოშვებას, ე.ი. თუ $Y = Y + E^Y - M^Y \geq 0$, მაშინ დარგების მთლიანი გამოშვების ვექტორი Y ყოველთვის არაუარყოფითია და იგი არანაკლებია $-Y$ ვექტორს. ეს ბუნებრივი შედეგი უშუალოდ გამომდინარეობს (12)-დან და, აგრეთვე, იმ გარემოებიდან, რომ შემოთავაზებულ მოდელში Y -ის ნებისმიერი დასაშვები (არაუარყოფითი) მნიშვნელობისათვის ქვეყანაში შუალედურ გამოშვებათა ვექტორი $Z \geq 0$. ამისაგან განსხვავებით, მე-(4) მოდელის თანახმად ქვეყანაში შეიძლება ხდებოდეს საბოლოო პროდუქტის გამოშვება (ე.ი. $Y' \geq 0$), მაგრამ მთლიანი გამოშვების ვექტორი X საბოლოო გამოშვებაზე ნაკლები იყოს.⁷ უფრო მეტიც, დადებითი საბოლოო გამოშვების Y' ვექტორის ცალკეულ მნიშვნელობას შეესაბამება X -ის ნულოვანი ან უარყოფითი მნიშვნელობები. მართლაც, (7)-დან გამომდინარეობს, რომ როდესაც Y' და M^Z დადებითი ვექტორების მნიშვნელობები საკმარისად დიდია, მაგრამ სხვაობა $Y' - M^Z$ მცირეა, მაშინ მთლიანი გამოშვების დადებითი X ვექტორისათვის სრულდება პირობა $X < Y'$. ამავე დროს, როდესაც $M^Z \geq Y'$, მაშინ $X \leq 0$.

2. (10)-(12)-ში ქვეყნის გარედან შემოტანილი შუალედური პროდუქტები ქვეყანაში საწარმოებელი საბოლოო პროდუქტებისათვის წარმოადგენენ რესურსებს, რომელთა გამოყენება ხორციელდება პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტების მატრიცაში მოცემული ტექნოლოგიის მიხედვით. (4)-ში კი შემოტანილი შუალედური პროდუქტები ყოველგვარი ტექნოლოგიის გარეშე პირდაპირ გარდაიქმნება ქვეყანაში გამოსაშვებ საბოლოო მოხმარების პროდუქტებად.

უკვე ეს ორი განსხვავება, ჩვენი აზრით, საკმარისია იმისათვის, რომ ღია ეკონომიკაში დარგთაშორისი კავშირების და პროდუქციის წარმოებისა და განაწილების პროცესების აღწერისათვის უპირატესობა (10)-(12), (15)-(18) მოდელს მივიანიჭოთ.

7 არსებობს გარკვეული განსხვავება (10)-(12)-ში გამოყენებულ საბოლოო გამოშვების Y ვექტორსა და (4)-ში გამოყენებულ ანალოგიურ Y' ვექტორს შორის კერძოდ, რადგანაც (10)-(12)-ში შუალედური და საბოლოო მოხმარების პროდუქტების ნაკადები ერთმანეთისაგან განცალკევებულია, ამიტომ $Y = Y + E^Z$, სადაც E^Z არის შუალედური მოხმარების პროდუქტთა ექსპორტის ვექტორი.

ლიტერატურა

1. Килин П.М. *Региональные межотраслевые балансы*, М., Наука, 1979 г.
2. *Межотраслевые балансы в анализе территориальных пропорций СССР*, Новосибирск, Наука, 1975 г.
3. Коссов В.В. *Межотраслевые модели*, М., Экономика, 1973 г.
4. Коссов В.В. Баранов Э.Ф. *Методологические особенности межотраслевого баланса экономического района*, В кн.: *Межотраслевые исследования в экономических районах*. М.: Наука, 1967 г.
5. Ачелашвили К.В. *Коэффициенты полных затрат в межотраслевом балансе района*, Изв. Сиб. отд. АН ССР, сер. обществ. наук, №6, вып. 2, 1973 г.
6. Раяцкас Р.Л. Плакунов М.К. *Количественный анализ в экономике*, М., Наука, 1987 г.
7. Ананиашвили Ю.Ш. *О системе региональных динамических межотраслевых моделей*, Экономика и математические методы, т. XVII, вып. 5., 1982 г.

On Improvement of Model of Intersectoral Balance for Open (Regional) Economy

Ananiashvili Iuri
 I.Gavakhishvili Tbilisi
 State University
 2, University Str.
 Tbilisi 380002
 Georgia

Summary. In this paper are analyzed two versions of models of intersectoral balance for open (regional) economy; the first one, where the flows of goods of local and imported production are not isolated from each other, and the other one, where this flows are represented separately. It is shown, that in some cases the first model as the second one cannot be used for analytical and forecasting calculations, since it is possible to make crude error basing these models. Therefore, the version of intersectoral model for open economy is proposed, where the flows of intermediate and final consumer product are represented separately. The model is investigated and theoretically substantiated, that for, this model there are no negative properties which contain the above-mentioned models.

О совершенствовании модели межотраслевого баланса открытой (региональной) экономики

Ананишвили Юрий
380002, Тбилиси
ул. Университетская 2
Тбилисский государственный
университет им. И.Джавახишвили

Резюме. В статье проанализированы два варианта модели межотраслевого баланса открытой экономики: модель, в которой потоки продуктов местного и импортного производства не разделяются друг от друга и модель, с отдельными потоками продуктов местного и импортного производства. Показано, что как одна, так и другая модель кроме частных случаев не пригодны для аналитических и прогнозных расчетов, поскольку они могут привести к неверным результатам. Исходя из этого предложен вариант межотраслевой модели открытой экономики с отдельными потоками продуктов промежуточного и конечного потребления. Исследована разработанная модель и теоретически доказано, что она не обладает теми отрицательными свойствами, которые присущи существующим моделям.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები: ისტორიული ევოლუცია და თანამედროვე თავისებურებანი

აბლაძე მერაბი

380002, თბილისი, უნივერსიტეტის 2
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
შემოვიდა 1996 წლის 15 დეკემბერს

რეზიუმე. ჩვენი პლანეტის ცალკეული ხალხების ეკონომიკური დაახლოების ობიექტურ პროცესს მრავალი ათასი წლის ისტორია აქვს. მაგრამ განსაკუთრებით დინამიურად იგი განვითარდა კაპიტალიზმის ჩასახვის დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების მსოფლიო ბაზრის ფორმირების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ვაჭრობა საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განმსაზღვრელ ფაქტორს, მის თეორიულ შესწავლას არცთუ დიდი ისტორია აქვს. კერძოდ პირველი სისტემური გამოკვლევები ჩატარებულ იქნა მერკანტილისტური სკოლის წარმომადგენლების მიერ XVI-XVIII საუკუნეებში, რომლებიც შემდგომ განავითარეს ადამ სმიტმა და დ. რიკარდომ უარყვეს რა მერკანტილისტების მოთხოვნა საგარეო ვაჭრობის აქტიური სახელმწიფო რეგლამენტაციისა და კონტროლის აუცილებლობის შესახებ მათ დაასაბუთეს თავისუფალი ვაჭრობის სარგებლიანობა როგორც ცალკეული ქვეყნისათვის ასევე მთლიანად მსოფლიო მეურნეობისათვის.

XX საუკუნის დასაწყისში შედგური სკოლის ცნობილმა წარმომადგენლებმა ელი ჰემერიმა და ბერტილ ოლინმა დაამტკიცეს, რომ ცალკეული ქვეყნების უფარდებითი უპირატესობის საფუძველს ამა თუ იმ პროდუქტის წარმოებაში წარმოადგენს ფაქტორების უზრუნველყოფის დონე. თუმცა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიო ვაჭრობაში მიმდინარე პროცესებმა და ახალმა თეორიულმა მიღწევებმა (ლეონტიევის პარადოქსი) დღის წესრიგში დააყენა საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურის თეორიული ახსნის ახალი მიდგომების (მასშტაბის ეფექტის თეორია) ძიების აუცილებლობა.

სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია აძლიერებს არა მხოლოდ საქონლის, არამედ კაპიტალის საერთაშორისო მიგრაციასაც, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მსოფლიო მასშტაბით დაგროვების ეკონომიკური ზრდის პროცესს.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, რომელიც ხასიათდება წარმოების ინტერნაციონალიზაციის მზარდი პროცესებით, მსოფლიო მეურნეობა სულ უფრო მეტად წარმოგვიდგება როგორც მჭიდროდ გადახლართული, ორგანულად შერწყმული ორგანიზმი. ჩვენი პლანეტის ცალკეული ხალხების ეკონომიკური დაახლოების ობიექტურ და აუცილებელ პროცესს სათავეში უდგანან მოწინავე ინდუსტრიული სახელმწიფოები რის თვალნათლივ მაგალითსაც წარმოადგენს დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის და აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მაღალგანვითარებული ქვეყნების ერთიან ეკონომიკურ ორგანიზმად ფორმირების საკმაოდ დინამიკური პროცესები. მეცნიერულ-ტექნიკური პროცესის განვითარების შედეგად მსოფლიო მეურნეობაში მიმდინარე სტრუქტურულმა ცვლილებებმა, შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებამ და საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერირების არნახულმა მასშტაბებმა განა-

პირობებს ის, რომ ცალკეული ერებისა და ეროვნებების წარმოებისა თუ მოხმარების პროცესები სულ უფრო და უფრო აშკარად გამოკვეთილ კოსმოპოლიტურ ხასიათს ღებულობენ, რის თვალნათელ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისათვის საექსპორტო და იმპორტული კვოტების მეტად მნიშვნელოვანი ზრდა. მაგალითად ისეთი მსხვილი ინდუსტრიული სახელმწიფოებისათვის, როგორებიცაა გარმანია, იაპონია, საფრანგეთი, იტალია და სხვ. საექსპორტო კვოტა შეადგენს 26%-იდან თითქმის 35%-მდე, ხოლო უფრო მცირე მოცულობის მაღალგანვითარებული სახელმწიფოებისათვის (ბელგია, ნიდერლანდები და სხვ.) იგი გაცილებით უფრო მეტია. რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ქვეყნების მიერ წარმოებული თითქმის ყოველი მეორე პროდუქტი თუ გავრეული მომსახურება განკუთვნილია მათ საზღვრებს გარეთ არსებული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. წარმოების მზარდი ინტერნაციონალიზაციის აშკარა დამადასტურებელ მოვლენას წარმოადგენს ისიც, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მოწინავე ინდუსტრიული ქვეყნების ერთობლივი შიდა პროდუქტის სულ უფრო მზარდი წილი ექცეოდა საერთაშორისო საქონელბრუნვის არხებში და თან ეს პროცესი მიმდინარეობდა უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე თვით წარმოების ზრდა. თუ მეორე მსოფლიო ომამდე ინდუსტრიული ქვეყნების ექსპორტის გაფართოება საგრძნობლად ჩამორჩებოდა ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპს, უკვე ომის შემდგომ პერიოდში იგი მნიშვნელოვნად აჭარბებს მას.

მსოფლიო მასშტაბით წარმოების ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარებას ასევე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნების მეურნეობების უფრო მაღალ ტექნოლოგიურ დონეზე აყვანა, ამ ქვეყნებში ინდუსტრიალიზაციის პროცესების დაჩქარება და მათში აშკარად გამოკვეთილი ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოო კომპლექსების ჩამოყალიბება - ფორმირების მეტად დინამიური ტენდენციები. პირველ რიგში ეს ეხება ე.წ. "ახალი ინდუსტრიული ქვეყნების" პირველ და მეორე თაობის სახელმწიფოებს: სამხრეთ კორეას, ჰონკონგს, სინგაპურს, ტაივანს აგრეთვე ბრაზილიას, მექსიკას, ტაილანდს, მალაზიას და სხვ. ჯერ კიდევ ახლო წარსულში ამ ეკონომიკურად ჩამორჩენილ სახელმწიფოების მიერ ბოლო ათწლეულებში მიღწეული წარმატებების საფუძვლიანი გაანალიზება მეტად აქტუალურად გვეჩვენება მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთაც დღეისათვის უზღდებათ დაახლოებით ისეთივე ხასიათის პრობლემების გადაწყვეტა, როგორიც უწევდათ ზემოთ დასახელებულ ახალ ინდუსტრიულ სახელმწიფოებს 20-30 წლის წინათ და რომელთა მიზანია ეროვნული მეურნეობების ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღება, მათი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ღრმა სტრუქტურული გარდაქმნა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება. 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში სოციალისტური ბანაკის რღვევისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ასეთ სახელმწიფოთა რიცხვს შეემატა საქართველოს რესპუბლიკაც, რომელმაც მართალია აღიდგინა დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მაგრამ აღმოჩნდა ურთულესი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემის წინაშე. სამართლმანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთი სახის სირთულეები საერთოდ დამახასიათებელია დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, მაგრამ მათ წარმატებით დასაძლევად საქართველო აშკარად ვერ აღმოჩნდა მზად მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო.

ყოველივე ზემოთ თქმული ნათლად წარმოაჩენს იმ უდიდეს როლს, რომელიც ენიჭება დღეს მსოფლიო მეურნეობაში მიმდინარე პროცესების ღრმა მეცნიერულ შესწავლას - ცალკეული სახელმწიფოებისა თუ მთელი რეგიონების ეკონომიკური განვითარების კრიტიკულ გაანალიზებას და ამის საფუძველზე ყოველივე პოლიტიკურის საკუთარ ნიადაგზე აქტუალურ გადმონერგვასა და ათვისებას. ამ თვალსაზრ-

სით საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისეთი ძირითადი ასკითხები, როგორცაა საერთაშორისო ვაჭრობა და კაპიტალის ექსპორტი, საერთაშორისო სავალუტო თუ ფინანსური ურთიერთობები, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიმოსვლა და საერთაშორისო სატრანსპორტო თუ ინფორმაციული სისტემების განვითარება თანამედროვე ქართული ეკონომიკური აზრის გაცილებით უფრო მეტი ყურადღებისა და სერიოზული კვლევის ობიექტად უნდა იქცენ. ამ ურთულეს პრობლემის ღირსეული გადაწყვეტის ძირითადი სირთულე სწორედ თანამედროვე ქართველმა ეკონომისტებმა უნდა აიღონ თავის თავზე. მით უმეტეს, რომ როგორც წესი ეს ასკითხები საბჭოთა პერიოდში რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკური კვლევის საზღვრებს გარეთ რჩებოდა.

საგარეო ვაჭრობის, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პირველადი ფორმის განვითარების ისტორიული ევოლუცია

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიულად პირველად ფორმას წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობა, რომლის განვითარებას მრავალი ათასი წლის ისტორია აქვს. დღეს ალბათ ვერც ერთი მკვლევარი ვერ იტყვის, თუ ზუსტად როდის შედგა პირველი საერთაშორისო სავაჭრო გარიგება, მაგრამ აბსოლუტური სიზუსტით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო იქ და მაშინ, სადაც და როდესაც წარმოიქმნენ პირველი სახელმწიფოები და ერთი ქვეყნის ვაჭრებმა გადალახეს რა საკუთარი სახელმწიფოს საზღვარი, საქმიანი ურთიერთობები დაამყარეს სხვა ქვეყნის ვაჭრებთან, თუ ზოგადად მოსახლეობასთან. საერთაშორისო ვაჭრობა ვითარდებოდა საერთოდ საზოგადოების განვითარებასთან ერთად, მისი უფრო დაბალი ფორმაციებიდან უფრო მაღალ ფორმაციაზე გადასვლის პარალელურად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თვით ცალკე აღებულ ფორმაციებშიც კი გვხვდება მისი განვითარების სხვადასხვა დონეები, რაც როგორც წესი უშუალოდაა დამოკიდებული თვით ამ ფორმაციაში ამა თუ იმ სახელმწიფოს განვითარების დონეზე. მაგალითად ისეთ ქვეყნებს, როგორებიც იყვნენ ფინიკია, ეგვიპტე, ბაბილონი, საბერძნეთი, რომი, კართაგენი მეტად ინტენსიური საგარეო სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ დამყარებული თავიანთ მუშობელ თუ არამუშობელ სახელმწიფოებთან მიუხედავად იმისა, რომ ისინი ტიპიურ მონათმფლობელურ საზოგადოებებს წარმოადგენდნენ.

ასევე შეიძლება ითქვას შუა საუკუნეების ფეოდალურ საზოგადოებებზე და განვითარებულ საერთაშორისო საქმიან ურთიერთობებზე. არაბეთის საქარავნო ვაჭრობაზე, ვენეციის საზღვაო სავაჭრო კავშირებზე და მის მძლავრ ფლოტზე, რაც გახდა შუა საუკუნეებში ამ ქალაქი-სახელმწიფოს ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბების საფუძველი, ჩინეთიდან ევროპისაკენ მომავალ ე. წ. "დიდ აბრეშუმის სავაჭრო გზაზე" და ა. შ.

როგორც ცნობილია მე-15-16 სს. დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებსაც სწორედ ეკონომიკური საფუძველი ედოთ და ბიზანს წარმოადგენდა ინდოეთისაკენ უმოკლესი და ნაკლებად სახიფათო გზების ძიება. კერძოდ 1453 წლისათვის ქ. კონსტანტინეპოლის დაცემამ და თურქსელებების მიერ ბიზანტიის იმპერიის საბოლოო განადგურებამ ევროპასა და ინდოეთს შორის არსებული სავაჭრო არხები მნიშვნელოვნად შეზღუდა, რამაც დიდი დარტყმა მიიყენა ამ დროისათვის მეტად განვითარებულ სანელებლებით ვაჭრობას, რომელიც შეიძლება ითქვას საერთაშორისო ბიზნესის ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი იყო. სანელებლებზე, რომლებიც წარმოადგენდნენ მრავალრიცხოვანი ევროპელი მონარქებისა თუ მსხვილი ფეოდალების ყოველდღიური დროსტარების აუცილებელ ელემენტს, ფასების მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია ევროპიდან უზარმაზარი სიმდიდრის გადენა და ევროპის ოქროს მარაგების მნიშვნელოვანი შემცირება. ვინაიდან მუსულმანურმა სამყარომ პირველ რიგში თურქეთის სასულთანომ მკაცრი კონტროლი დააწესა

ინდოეთისა და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულებისაკენ მიმავალ სახმელეთო კომუნიკაციებზე (სწორედ ეს რეგიონები წარმოადგენდნენ სანელებლების ბუნებრივი კულტივირების ძირითად რაიონს) იმ პერიოდის მოწინავე ევროპულმა სახელმწიფოებმა პირველ რიგში ესპანეთმა და პორტუგალიამ აქტიურად დაიწყეს ახალი გზების ძიება ამ საარაკო სიმიდრის ქვეყნებისაკენ. ამასთან დაკავშირებით შეგვეძლოს აღგვედგინა ისეთი საინტერესო ფაქტიც, რომ ცნობილმა მაგელანის მოგზაურობამ, რომელიც სამი წელი გრძელდებოდა (1519-1522 წწ) და რომელიც ხუთი გემიდან მხოლოდ ერთმა გემმა "ვიკტორიამ" დაამთავრა თვით მაგელანის სიკვდილის (1521 წ) შემდეგ, სრულიად შეძლო აენაზღაურებინა მასზე გაწეული უზარმაზარი ხარჯები და ესპანეთის სამეფო კარი დაღ სარგებელშიც დატოვა იმით, რომ ოკეანისა და ფილიპინების კუნძულებიდან დატვირთული სანელებლები ჩაიტანა ევროპაში.

საერთაშორისო ვაჭრობა მეტად აქტიურ როლს თამაშობდა აგრეთვე საქართველოში ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განვითარების რთულ და ხანგრძლივ პროცესში. კერძოდ, მას ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა დამყარებული სპარსელ, ბიზანტიელ, არაბ, ვენეციელ და სხვა ვაჭრებთან, რასაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. მისი საერთაშორისო მნიშვნელობის საზღვაო და სახმელეთო კომუნიკაციებთან სიახლოვე. განსაკუთრებით აქტიურად საქართველო საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილეობდა საკუთარი განვითარების უმაღლეს საფეხურზე ე. წ. "ოქროს ხანაში" (XII-XIII სს-ში). ამ პერიოდში ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვაჭართა ფენა მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს და გარკვეულწილად განსაზღვრავს არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ სიტუაციას, არამედ პოლიტიკურსაც. ამ მომენტზე: სათანადო ყურადღება მიაქცია დიდმა ქართველმა პოეტმა შოთა რუსთაველმა თავის უკვდავ ქმნილებაში "ვეფხისტყაოსანში", სადაც მეტად ოსტატურად აღწერა ამ შემოსავლანი, მაგრამ ამავე დროს მეტად სარისკო პროფესიის მოხელეთა ცხოვრების სხვადასხვა პერიპეტები შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელ განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობებში.

მაგრამ მაინც, საერთაშორისო ვაჭრობამ განსაკუთრებულ გაქანებას მიიღწია კაპიტალიზმის ჩასახვასა და განვითარებასთან ერთად. დაწყებული მე-16 საუკუნის ბოლოდან მე-17, მე-18 საუკუნეებში, განსაკუთრებით დინამიურად კი მე-19 და ბოლოს მე-20 საუკუნეებში ინტენსიური საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ბაზაზე ჩამოყალიბდა და შემდგომი განვითარება ჰპოვა მსოფლიო ბაზარმა, რომლის ფორმირება მსოფლიო ხალხების ეკონომიკური ინტეგრაციის თვისობრივად ახალ, გაცილებით უფრო მაღალ დონეზე აყვანის მათუწყებელი იყო. ამ პროცესს გარკვეულწილად ხელი შეუწყო აგრეთვე ადრეული კაპიტალიზმის ეპოქის მოწინავე სახელმწიფოების ინგლისის, საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, პოლანდიისა და ა.შ. აქტიურმა იმპერიალისტურმა პოლიტიკამ. იმორჩილებდნენ რა მსოფლიოს ახლად აღმოჩენილ თუ ჩამორჩენილ რეგიონებსა და ხალხებს, მნიშვნელოვნად აჩქარებდნენ მათი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩართვის პროცესს. თავდაპირველად მეტროპოლიებსა და მათ კოლონიებს შორის ჩამოყალიბებულმა შრომის დანაწილებამ მიიღო ფორმა "ნედლეული-მზა პროდუქცია" ე.ი. ხდებოდა დაპყრობილი ქვეყნების ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაცია და კვების პროდუქტებთან ერთად მათი ინტენსიური ექსპორტირება იმპერიის ცენტრებში, ხოლო მეტროპოლიებიდან კი მათი გადაამუშავების ბაზაზე შექმნილი მზა პროდუქციის - ძირითადად სამომხმარებლო ხასიათის მზა პროდუქციის, იმპორტირება და რეალიზაცია კოლონიებში და დომინიონ სახელმწიფოებში. ასეთი ტიპის შრომის დანაწილება სრულიად პასუხობდა მანქანური ინდუსტრიის საწყისი სტადიის მოთხოვნებს, რომელთა შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მსოფლიოს უზარმაზარი რეგიონების ერთი მხრივ სანედლ-

ეულო ბაზად და მეორეს მხრივ კი წარმოებული პროდუქციის გასაღების ბაზარად გადაქცევა, ვინაიდან ეროვნული ბაზრის ჩარჩოები მას უკვე ვეღარ დააკმაყოფილებდა.

დღეისათვის უკვე მსოფლიო ვაჭრობაში სულ უფრო მზარდ ხვედრიძე წილს იკავებს გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია. კერძოდ, თუ მეორე მსოფლიო ომამდე ნედლეულითა და სურსათით ვაჭრობაზე მოდიოდა საერთაშორისო საქონელბრუნვის დაახლოებით ორი მესამედი, დღეისათვის მასზე მოდის სულ ერთი მეოთხედი ანუ 25% და ინარჩუნებს მყარ ტენდენციას შემდგომი შემცირებისა. მაშინ როცა მსოფლიო ბაზარზე საეაჭრო ოპერაციების სამი მეოთხედზე მეტი სწორედ გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციას უკავია ე.ი. მისი ხვედრითი წილი უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში გაიზარდა 33%-დან 75%-მდე [3]. მსოფლიო ბაზრის განსაკუთრებით დინამურად განვითარებად ხეგმენტს წარმოადგენს მაღალი ტექნოლოგიური დონის მეცნიერებატექნიკური და უახლესტექნიკური დარგების მიერ წარმოებული პროდუქცია.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარების აკადემიკალ საწაითაო ძალების შემდგომი სრულყოფა ითხოვდა შრომის საერთაშორისო დანაწილების სულ უფრო გაღრმავებასა და მის ბაზაზე საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერირების მანამდე არნახული მასშტაბების მიღწევას. რის შედეგადაც თანამედროვე ეტაპზე ხორციელდება წარმოების ინტერნაციონალიზაცია როგორც საყოველთაო პროცესი, ფორმირდება პროდუქციის სტრუქტურა, პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს საბოლოო მოხმარების პროდუქციისა, რომელც სულ უფრო მეტად გვევლინება, როგორც მთლიანად მსოფლიო "ზოგადობის" ეკონომიკური საჭიანობის შედეგი და არა ცალკეული საელმწიფოებისა. ასეთ მრავალეროვნულ პროდუქციაზე ძნელია განაცხადო, რომ იგი იქნა სრულად წარმოებული ამა თუ იმ ქვეყნის მოცემულ საწარმოში. შრომის საზოგადოებრივმა ხასიათმა ჭეშმარიტად პლანეტარულ მასშტაბებს მიაღწია [4, გვ. 31-32].

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თეორიული კვლევა: მერკანტილისტები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო ვაჭრობას მრავალი ათასი წლის ისტორია აქვს. მაგრამ მეცნიერული შესწავლა ამ პრობლემისა გაცილებით უფრო კვიან დაიწყო. კერძოდ, სისტემატური გამოკვლევები ამ სფეროში ევროპაში შესრულებული იქნა მერკანტილისტური ეკონომიკური სკოლის ბატონობის დროს (დაახლოებით XVI-XVIII საუკუნეებში) და წარმოადგენდნენ ზოგადი ხასიათის მსჯელობებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს მოწყობილი სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობა. მათი საერთო მიდგომა ამ პერიოდისადმი შეიძლება დახასიათებულიყო შემდეგნაირად: როგორც ისინი თვლიდნენ ნებისმიერი ერის ინტერესებში შედის ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საკუთარი ექსპორტის ზრდას სხვა ქვეყნებში და ასევე მაქსიმალურად შეზღუდოს იმპორტი საკუთარ ტერიტორიაზე. კერძოდ, მერკანტილისტები ამტკიცებდნენ, რომ პროდუქციის იმპორტირება უარყოფითი მოვლენაა, ვინაიდან იგი იწვევს ქვეყნიდან ოქროსა და ვერცხლის ფულის გატანას და თუკი იმპორტი სისტემატურად სჭარბობს ექსპორტს, ქვეყნის გადატაკებასაც. გარდა ამისა ითვლებოდა, რომ ომის შემთხვევაში, რაც იმ დროისათვის ევროპაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, იმპორტული მოწოდებები შეწყდებოდა და ისედაც საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის ეკონომიკას კიდევ უფრო დიდ სირთულეებს შეუქმნიდა. აქვე შეგვიძლია დავევამატებინა ისიც, რომ იმპორტის გადასახადებით დაიგვერა მერკანტილისტების მიერ განიხილებოდა როგორც ქვეყნის შიგნით შემოსავლების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის საშუალება. მერკანტილისტური ეკონომიკური სკოლის ბატონობის შედეგს წარმოადგენდა ის, რომ იმ პერიოდის მოწინავე ევროპული სახელმწიფოების სა-

გარეო ვაჭრობა მაქსიმალურად იყო შეზღუდული სხვადასხვა სახის გადასახადებითა და აკრძალვებით. XVIII საუკუნის ბოლოსათვის მერკანტელისტულმა სკოლამ თანდათანობით ადგილი დაუთმო ფრიდრეტერულ სკოლას, რომლის სახელწოდებაც წარმოდგება ორი ინგლისური სიტყვის free (თავისუფალი) და trade (ვაჭრობის) გაერთიანებისაგან, და რომლის მიხედვითაც როგორც ცალკეული ქვეყნის, ასევე მთელი მსოფლიოს ინტერესებში შედის დაუშვას საერთაშორისო ვაჭრობის სრული თავისუფლება ანუ უბრალოდ მისცეს ხალხს საშუალება ივაჭრონ ისე, როგორც ამას თვლიან ისინი. საჭიროდ.

თავისუფალი ვაჭრობის მომხრეთა ბანაკის თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა დ. რიკარდო, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო მუშაობას ინგლისში. ამ პერიოდისათვის თავისუფალი ვაჭრობის მომხრეების წინაშე მეტად რთული ამოცანა იდგა, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო ვაჭრობა მეტად მკაცრად იყო შეზღუდული და რეგლამენტირებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რიკარდო არ იყო პირველი, ვინც ბრძოლა გამოუცხადა იმ პერიოდში გაბატონებულ მერკანტელისტულ იდეოლოგიას. ჯერ კიდევ ადამ სმიტი თავის ნაშრომში "ხალხთა სიმდიდრე" (1776 წ.), აკრიტიკებდა საგარეო ვაჭრობისადმი ავადმყოფურ შიშს, ადარებდა რა ერს და ეროვნულ მეურნეობას საოჯახო მეურნეობასთან. იგი ამბობდა, რომ ვინაიდან ყოველი საოჯახო მეურნეობა თვლის თავისთვის სასარგებლოდ აწარმოოს მისთვის აუცილებელი პროდუქციის მხოლოდ ნაწილი, ხოლო დანარჩენი შეისყიდოს მის მიერ წარმოებული პროდუქციის გაყიდვის გზით, იგივე შეიძლება ითქვას ერის, როგორც ერთიანი მთლიანი ორგანიზმის შესახებაც. კერძოდ ის წერდა: "თუკი რომელიმე ქვეყანას შეუძლია მოგვაპარავოს ჩვენ (ინგლისის სამეფო) რაიმე სახის პროდუქციით უფრო იაფად, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია დავამზადოთ იგი, მაშინ გაცუილებით უკეთესია შევისყიდოთ იგი ამ ქვეყნისაგან ჩვენი საკუთარი სამრეწველო შრომის პროდუქტის გარკვეულ ნაწილზე გაცვლის გზით, რომელიც დაბარჯულია იმ სფეროში, რომელშიც ჩვენ გაგვანია ერთგვარი უპირატესობა" [1, გვ. 21].

და მაინც, ადამ სმიტის დასკვნები საერთაშორისო ვაჭრობასთან მიმართებაში მნიშვნელოვანწილად არასრულყოფილი იყო. კერძოდ, მან ვერ შეძლო მერკანტელისტების იმ ცნობილი მტყიცების უარყოფა, რომ თითქოს იმპორტის შეზღუდვა იწვევდეს ახალი საშუალო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, იგი არა თუ წინ არ აღუდგა, არამედ მხარიც კი დაუჭირა პოტენციურ მოწინააღმდეგესთან საგარეო ვაჭრობის შეზღუდვის აუცილებლობას.

ამასთან იგი თვლიდა, რომ ყოველ ერს საკმარისად გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა თავის პოტენციურ სავაჭრო პარტნიორთან შედარებით, რაზეა საექსპორტოდ გაიტანოს იგივე რაოდენობის პროდუქტი, რამდენსაც შეისყიდის საზღვარგარეთ, თუკი, რაღა თქმა უნდა, ვაჭრობა იქნება თავისუფალი შეზღუდვებისა და რეგლამენტებისაგან. აბსოლუტური უპირატესობის ქვეშ იგულისხმება ის სიტუაცია, როდესაც ყოველ ქვეყანას გააჩნია ისეთი პროდუქტი, რომელსაც დაუნაბარჯების ერთეულზე აწარმოებენ უფრო მეტს ვიდრე სხვა ქვეყნები. ამავდროს სმიტმა თავი აარიდა ამკარა კითხვებზე პასუხის გაცემას, რომელთაც ჯერ კიდევ მისი წინამორბედნი სვამდნენ. კერძოდ: როგორ უნდა მოვიქცეთ, თუკი ქვეყანას არ გააჩნია აბსოლუტური უპირატესობები? მოინდომებენ კი სხვა ქვეყნები მასთან ვაჭრობას? და თუ მაინც ასეთი სავაჭრო ურთიერთობები დაწყდებიან, ხომ არაა იმის საშიშროება, რომ ჩამორჩენილი სახელმწიფო მასზე უფრო მაღალგანვითარებული სავაჭრო პარტნიორებისაგან შეისყიდოს გაცილებით უფრო მეტ პროდუქციას, ვიდრე შესაძლებს მიყიდოს მათ? და ხომ არ გამოიწვევს წარმოშობილი სავაჭრო დეფიციტი ამ ქვეყნიდან ფულის (პირველ რიგში ოქროს) ლი ვერცხლის) გატანას საზღვარგარეთ და მის გადატაკებას? სადაა გარანტია,

რომ თავისუფალი ვაჭრობა გადაჭრის ყველა ამ პრობლემას ისე, რომ ქვეყანა საბოლოოდ ჯამში დარჩება მოგებული? და მრავალი სხვა.

რიკარდომ განამტკიცა მოსაზრებები თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლოდ, საბოლოოდ მოხსნა რა ის წინაპირობები, რომელთაც აყენებდნენ მერკანტილისტები. კერძოდ, მან მოიყვანა რამოდენიმე ციფრობრივი მაგალითი, რომლებშიც თვალნათლივ გვაჩვენა თავისუფალი საგარეო ვაჭრობის სარგებლიანობა ნებისმიერი ერისათვის, იმ შემთხვევაშიც კი თუკი მას არცერთი პროდუქტის წარმოებაში არ გააჩნდა აბსოლუტური უპირატესობები და პირობით, როდესაც ამა თუ იმ ერს ჰქონდა ასეთი უპირატესობები სხვა ერებთან შედარებით აბსოლუტურად ყველა სახის საქონლის წარმოებისას.

დევიდ რიკარდო: შეფარდებითი უპირატესობის თეორია

დ. რიკარდო თავის საყოველთაოდ ცნობილ ნაშრომში 'პოლიტიკური ეკონომიკისა და დაბეგვრის საფუძვლები' (1817 წ.) ასაბუთებს, რომ მანამ, სანამ საგარეო ვაჭრობის გამორიცხვის პირობებში ქვეყნებს შორის ფასების დონეებში შენარჩუნებული იქნება თუნდაც უმნიშვნელო განსხვავება, ყოველ ქვეყანას ექნება შეფარდებითი უპირატესობა ე.ი. მას ყოველთვის მოეპოვება ისეთი საქონელი, რომლის წარმოებაც მისთვის იქნება უფრო მომგებიანი არსებული წარმოების დანახარჯების პირობებში, ვიდრე დანარჩენი პროდუქტების წარმოება. სწორედ ამ პროდუქტის ექსპორტირებას მოახდენს იგი და გაცვლის მას იმ პროდუქტებზე, რომლის წარმოებაც უფრო იაფი უჯდება მასთან მოვაჭრე ქვეყანას.

ინგლისსა და პორტუგალიას შორის მაუდიტა და ღვინით ვაჭრობის საკუთარი მაგალითის განხილვისას რიკარდო გადმოსცემდა რა შეფარდებითი უპირატესობის თეორიის არსს გულისხმობდა, რომ ჩანაცვლების დროითი დანახარჯები რჩება უცვლელი. კერძოდ, ის დანახარჯები, რომლებითაც იწარმოება გარკვეული რაოდენობის სხვა სახის საქონელი და რომლის წარმოებაზეც უარი უნდა ეთქვათ, რათა გაეზარდოთ ერთი სახის პროდუქტის, მაგალითად მაუდიტის წარმოება.

შემდგომში მეცნიერ-ეკონომისტების მიერ გამოთქმული იქნა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნებისა რიკარდოს ამ დაშვებასთან დაკავშირებით (მხედველობაში გვაქვს ჩანაცვლების დროითი დანახარჯების უცვლელობა). ჯერ ერთი, მათ მოჰყავდათ პრაქტიკული სამეურნეო ცხოვრებიდან აღებული უამრავი მაგალითი, როდესაც სხვადასხვა დარგებში წარმოებას თან ახლდა ზღვრული დანახარჯების ზრდა, რომ წარმოება ყოველი შემდგომი ერთეული საქონლისა ითხოვდა რათა უარი გვეთქვა სულ უფრო დიდი რაოდენობით სხვა საქონლის წარმოებაზე. გარდა ამისა მათ შეძლეს მოენახათ არც თუ ურიგო თეორიული ახსნა იმისა, თუ რატომაა, რომ რიკარდოს დაშვებისაგან განსხვავებით ყოველი ცალკე აღებული დარგი თავისთავად შეიძლება ხასიათდებოდეს კლებადი სარგებლიანობით, ანდა რაც იგივეა მზარდი დანახარჯებით. მაგრამ ყველაზე უფრო სერიოზული კონტრარგუმენტი იყო ის, რომ იგი ვერ ხსნიდა წარმოებისა და საგარეო ვაჭრობის არსებულ სტრუქტურას. ჩანაცვლების დროითი დანახარჯების უცვლელობიდან გამომდინარეობდა, რომ ყოველი ქვეყანა მოახდენდა საგარეო ვაჭრობიდან მიღებული მოგების მაქსიმიზებას, მთლიანად დახელოვნდებოდა რა იმ საქონლის გამოშვებაზე, რომლის წარმოებაშიც მას გააჩნია შეფარდებითი უპირატესობა. თუმცა რეალურ ცხოვრებაში სრული სპეციალიზაციის მაგალითებს ჩვენ ვერ ვნახავთ.

რიკარდოს შემდგომ გამოთქმულმა კრიტიკულმა შენიშვნებმა ჩანაცვლების დროითი დანახარჯების უცვლელობის შესახებ მეცნიერ-ეკონომისტები მიიყვანა დასკვნამდე, რომ რიკარდოს ეს დაშვება უნდა შეცვლილიყო უფრო რეალისტურით. თანდათანობით ისინი მივიდნენ ჩანაცვლების მზარდი დანახარჯების მტკიცებამდე, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში: დარგში, რომელიც ფართოვდება

სხვა დარგების ხარჯზე, წარმოება საქონლის ყოველი შემდგომი ერთეულისა და ავშირებულია სხვა დარგებში სულ უფრო დიდი რაოდენობის პროდუქციის წარმოებაზე უარის თქმასთან.

მზარდი დანახარჯების პირობებში საგარეო ვაჭრობის ძირითადი მამოძრავებელი იდეა რჩება იგივე, რაც დანახარჯების მუდმივობის დაშვებისას იყო. კერძოდ, ორივე მოვალეობა მხარეს შეუძლია მიიღოს მოგება, რისთვისაც ისინი ცდილობენ ჯაზარდონ სპეციალიზაცია იმ პროდუქციის წარმოებისა, რომელშიც მათ გააჩნით შეფარდებითი უპირატესობა. მაგრამ დანახარჯების მზარდობის დაშვებასთან დაკავშირებით ჩვენ გვიწევს ორი მნიშვნელოვანი მომენტის დაფიქსირება, რომლებიც გვაახლოვებენ სინამდვილესთან: ჯერ ერთი, არა აქვს ადგილი სრულ სპეციალიზაციას და მეორეც ქვეყნებს შორის კონკურენციის შედეგად ხდება დანახარჯების გამოთანაბრება. მართლაც, თუკი რომელიმე ქვეყანა ახდენს სპეციალიზაციის ზრდას იმ პროდუქციის წარმოებაზე, რომელშიც მას გააჩნია შეფარდებითი უპირატესობა და ყოველი შემდგომი ერთეული პროდუქტის წარმოება მას უჯდება სულ უფრო მეტი, მაშინ გარკვეულ ეტაპზე დადგება ისეთი მომენტი, როდესაც მისი შეფარდებითი დანახარჯები ამ პროდუქტის შემდგომი ერთეულის საწარმოებლად გაუტოლდება მასზე ჩამოყალიბებულ მსოფლიო ფასს. ე. ი. მისთვის სპეციალიზაციის შემდგომი ზრდა ეკონომიურად გაუმართლებელია.

ჰექშერ-ოლინის თეორია და თანამედროვე მსოფლიო ვაჭრობა

XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული საგარეო ვაჭრობის კლასიკური თეორია აგებულია შეფარდებით უპირატესობების პრინციპზე. მაგრამ იგი არ იძლევა უშუალო ახსნას თუ საიდან წარმოიშობა ის შეფარდებითი უპირატესობა, რომელიც გააჩნია ამა თუ იმ ქვეყანას რომელიმე კონკრეტულ პროდუქტთან მიმართებაში [2, გვ. 63]. XX საუკუნის დასაწყისში შვედური სკოლის ცნობილია წარმომადგენლებმა ელი ჰექშერმა და ბერტილ ოლინმა დაასაბუთეს, რომ ეს ახსნა მდგომარეობის წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფაში. შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ვაჭრობის, მისი სტრუქტურისა და განვითარების ტენდენციების თანამედროვე წარმოდგენების საფუძვლები ჩამოყალიბებულ იქნა ამ შვედი ეკონომისტების მიერ. კერძოდ, ელი ჰექშერმა 1919 წელს გამოქვეყნებულ სტატი-აში მოგვცა ჰექშერ-ოლინის თეორიის ძირითადი პრინციპები. მან დაასაბუთა, რომ საერთაშორისო საქონელგაცვლა წარმოიშობა წარმოების ფაქტორების (კაპიტალის, შრომის, მიწის) შეფარდებითი სიჭარბის ანდა შეფარდებითა დეფიციტურობისდა გამო. ყოველ ქვეყანას გააჩნია ტენდენცია დახელოვდეს იმ სახის წარმოებაზე, რომლისათვისაც აუცილებელი წარმოების ფაქტორები მას გააჩნია ჭარბად, ვიდრე სხვა ქვეყნებს. 30-იან წლებში ჰექშერის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები განავითარა და განაზოგადა მისმა მოწაფემ ბერტილ ოლინმა. 1933 წელს გამოქვეყნებულ მანუალში "რეგიონთაშორისი და საერთაშორისო ვაჭრობა" მან დააზუსტა ჰექშერის ანალიზი. კერძოდ, იგი ჰექშერ-ოლინის თეორიის ძირითად აზრს გადმოსცემდა შემდეგი სიტყვებით: "პროდუქტები, რომლებიც წარმოებისათვის მოითხოვენ მნიშვნელოვან დანახარჯებს (წარმოების ჭარბი ფაქტორების) და მცირე დანახარჯებს (წარმოების დეფიციტური ფაქტორების) ექსპორტირება და იცვლება პროდუქტებზე, რომელთა წარმოებისას ფაქტორები გამოიყენება პირველ პრიორიტეტით. ამგვარად ფარული სახით ხდება ჭარბი ფაქტორების ექსპორტირება და დეფიციტური ფაქტორების იმპორტირება". ე. ი. საქონლის მობილურობა გარკვეულად ცვლის წარმოების ფაქტორების უფრო ნაკლებ მობილურობას.

მოკლედ ასეც იქნა ითქვას, რომ ქვეყნები ექსპორტირებას უწევენ ჭარბი ფაქტორების ინტენსიური გამოყენების პროდუქტებს და იმპორტირებას ახდენენ მათთვის დეფიციტური ფაქტორების ინტენსიური გამოყენების პროდუქტებისა.

ამ თეორიის ჩამოყალიბებისათვის ბერტილ ოლინს 1977 წელს ნობელის პრემია მიენიჭა ეკონომიკის სფეროში.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ თუ რამდენად სამართლიანია ჰეკშერ-ოლინის თეორია და რამდენად სწორად ხსნის იგი მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურას მოციყვანთ რამდენიმე მაგალითს. კერძოდ, დღეისათვის იაპონია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის, სატყეო-მეურნეობისა და მომპოვებელი მრეწველობის პროდუქციის იმპორტზე, ვინაიდან თვითონ არა აქვს საშუალება აწარმოოს იგი იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფდა ამ ქვეყანაში არსებული ცხოვრების მაღალი დონის შესაბამისი მშარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამ უზარმაზარი იმპორტის ანაზღაურებას იაპონია ახერხებს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტში მისი განსაკუთრებული უპირატესობით (რასაც იწინასწარმეტყველებდა კიდევ ჰეკშერ-ოლინის თეორია ამ ქვეყნის სამეცნიერო პერსონალითა და მაღალკვალიფიცირებული სამუშაო ძალით ჭარბი უზრუნველყოფიდან გამომდინარე).

თუ განვიხილავთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ექსპორტსა და თან ამასთან გავითვალისწინებთ ამ ქვეყანაში თავის დროზე არსებულ საგარეო ვაჭრობის სრულ სახელმწიფო მონაპოლიას იგი გასაკვირი სიზუსტით ჯდება ჰეკშერ-ოლინის სქემაში. უფრო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირი ძირითადად გვევლინებოდა კაპიტალტევადი საქონლის ექსპორტიორად და შრომატევადი საქონლის იმპორტიორად. ხოლო უფრო განვითარებულ ქვეყნებთან საგარეო ურთიერთობებისას საბჭოთა ექსპორტი ხდებოდა უფრო შრომატევადი და იმპორტი უფრო კაპიტალტევადი. ჰეკშერ-ოლინის თეორიას შეესაბამებოდა აგრეთვე მინერალური ნედლეულის ექსპორტზე საბჭოთა კავშირის სპეციალიზაცია, ისევე, როგორც ვთქვით კანადისა, რომელიც ძირითადად ნედლეულის ექსპორტირებას ეწევა და სცვლის მას მაღალტექნოლოგიურ პროდუქციასზე. თუ გავითვალისწინებთ კანადაში ერთ სულ მოსახლეზე ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფის დონეს ჰეკშერ-ოლინის თეორიის მიხედვით ამ ქვეყნის ექსპორტის სხვაგვარი სტრუქტურა არც იყო მოსალოდნელი.

მთლიანობაში თუ განვიხილავთ მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურას, რომელიც ჩამოყალიბდა 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისისათვის ჰეკშერ-ოლინის თეორიის ძირითადი დებულებებით მას საკმაოდ ობიექტურა ახსნა მოენახება. მაგრამ ამავე დროს საკითხის დეტალური შესწავლისას ჩნდება მთელი რიგი მომენტებისა, რომლებიც მიგვანიშნებენ ამ თეორიის შეზღუდულობაზე. მაგალითად ჰეკშერ-ოლინის თეორიით აიხსნება ის, რომ ამერიკაში დაგროვილი კაპიტალისა და კვალიფიცირებული სამუშაო ძალის ზრდის ტემპი იყო უფრო ნაკლები, ვიდრე იაპონიასა და ახალი ინდუსტრიის სახელმწიფოებში, რამაც გამოიწვია კიდევ მისი საერთაშორისო კონკურენტული პოზიციების დათმობა მაღალტექნოლოგიური და კაპიტალტევადი სახის სამრეწველო პროდუქციით ვაჭრობაში. მაგრამ ამავე დროს მოწინავე ქვეყნებს შორის წამროების პროცესის ძირითადი ფაქტორებით უზრუნველყოფის გამოთანაბრებას ჰეკშერ-ოლინის თეორიის მიხედვით უნდა გამოეწვია: 1) მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოებს შორის აქტიური სავაჭრო ურთიერთობების შესუსტება და 2) ინდუსტრიულ "ჩადილოეთსა" და ჩამორჩენილ "სამხრეთს" შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარება.

II მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ვაჭრობაში მიმდინარე მთელმა რიგმა ცვლილებებმა მეცნიერ-ეკონომისტები დააფიქრა ჰეკშერ-ოლინის თეორიის აბსოლუტურ ჰესმარტებაში. (პირველი კრიტიკა ამ მიმართულებით გაისმა 1953 წელს, როდესაც ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა ვასილ ლეონტიევმა, გამოიყენა რა მის მიერ დამუშავებული დარგთაშორისი ბალანსის მეთოდი, გვიჩვენა, რომ 1947-1953 წლებში მსოფლიო მასშტაბით ამერიკის ეკონომიკა სპეციალიზირდებოდა

წარმოების იმ სახეებზე, რომლებიც მოითხოვდნენ შეფარდებით მეტ შრომას, ვიდრე კაპიტალს. ლეონტიევის აღმოჩენას, რომელსაც შემდგომში ლეონტიევის პარადოქსი ეწოდა, განსაკუთრებულ ინტერესს სძენდა ის ფაქტიც, რომ შეერთებული შტატები ალბათ ერთადერთი მსხვილი სახელმწიფო იყო მსოფლიოში, რომელმაც შეძლო ამ გამანადგურებელი მსოფლიო ომიდან გამოსულიყო კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაზრდით, მაშინ, როცა მის ძირითად პარტნიორებს ჰარბად გააჩნდათ სამუშაო ძალა.) კერძოდ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო მსოფლიო ვაჭრობაში მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ვაჭრობის ხვედრითი წილის განუზრებელი ზრდა, თუ 50-იანი წლების დასაწყისისათვის ეს მაჩვენებელი უდრიდა მსოფლიო ვაჭრობის 42%-ს (სოციალისტური ბანაკის გამოკლებით) 80-იანი წლების ბოლოს იგი უტოლდებოდა 60%-ს და ინარჩუნებდა შემდგომი ზრდის ტენდენციას (ე. ი. გამოდის, რომ საერთაშორისო ვაჭრობის კონცენტრირება ხდება არა წარმოების ფაქტორებით სხვადასხვა პროპორციით უზრუნველყოფილ ქვეყნებს შორის, არამედ სწორედ ერთნაირი პროპორციით უზრუნველყოფილ ქვეყნებს შორის. რაც ცხადია ეწინააღმდეგება ჰეკშერ-ოლინის თეორიის ძირითად პოსტულატებს.).

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი არის ის, რომ მსოფლიო ვაჭრობაში სულ უფრო მზარდ ხვედრით წილს იკავებს ერთი და იგივე სახის სამრეწველო პროდუქციით შემხვედრი ვაჭრობა. ე. ი. A ქვეყნიდან B ქვეყანაში სულ უფრო სწრაფი ტემპით იზრდება სტანდარტული კლასიფიკაციის მიხედვით იმ კატეგორიის პროდუქციის ექსპორტი როგორც ვაჭრობს B ქვეყანა A ქვეყანასთან (რაც ასევე ეწინააღმდეგება ჰეკშერ-ოლინის თეორიას) [1, გვ. 41-42].

ამან ეკონომისტები მიიყვანა აზრამდე, რომ აუცილებელია ჰეკშერ-ოლინის თეორიის ძირითადი პოსტულატების განახლება, რათა შესაძლებლობა მოგვეცეს ავსხნათ ის ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობს თანამედროვე ვაჭრობაში. ჩვენ განვიხილავთ ამ სფეროში თანამედროვე მეცნიერული კვლევის ორ ძირითად მიმართულებას. პირველი მათგანი ითხოვს ჰეკშერ-ოლინის თეორიის გაფართოებას, მოდერნიზირებას, ახლებურად «ცდილობს რა წარმოაჩინოს წარმოების ფაქტორები, რათა მათი წარმოების პროცესის უზრუნველყოფამ შეძლოს საერთაშორისო ვაჭრობაში, მის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებების ახსნა. მეორე მიმდინარეობა საერთოდ უარყოფს ჰეკშერ-ოლინის თეორიას და გვთავაზობს სრულიად ახალ მიდგომას პრობლემისადმი.

პირველი მიმდინარეობის მხარდამჭერი მეცნიერ-ეკონომისტები აცხადებენ, რომ წარმოების ფაქტორების მთელი ერთობლიობის დაყვანა მხოლოდ კაპიტალზე, მიწაზე და რაოდენიმე სახის შრომაზე არარეალურია. სინამდვილეში არსებობს უზარმაზარი რაოდენობა მათი ნაირსახეობებისა. გარდა ამისა, აცხადებენ ისინი, არსებობს მთელი რიგი ფაქტორებისა, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ ცალკეული ქვიდარჯობისთვის და თვით ცალკეული ფირმებისთვისაც კი. მათი ასეთი არაერთგვაროვნება განსაკუთრებით ჩნდება მართვის უმაღლეს საფეხურებზე თუ სხვა იშვიათ პროფესიებში.

მაგალითად, როდესაც საუბარია საავტომობილო ბიზნესზე, შეიძლება ითქვას, რომ «ტოიოტის» პრეზიდენტს (ედემურო ტოიოტას) გააჩნია განსაკუთრებული ნიჭი მანქანათმშენებლობაში, რაც თავისთავად გველინება, როგორც წარმოების უნივერსალური ფაქტორი. ასევე შეიძლება ითქვას ცალკეულ პატენტებზე, რომელთაც ფლობენ ესა თუ ის ფირმები თუ სახელმწიფოები. და მართლაც, მართვის ნიჭი, იმპერციული აღიარება, ტექნოლოგია, ცოდნა და ა. შ. შეიძლება ცალ-ცალკე განვიხილოთ როგორც წარმოების ფაქტორები.

წარმოების ფაქტორების ასეთი მრავალფეროვნებით წარმოჩენა მეტად ზრდის ჰეკშერ-ოლინის თეორიის გამაჯანბრების ეფექტურობას. თეორიისა, რომელიც ასეთ დიდ აღრადლებას აქცევს ფაქტორებს შორის ჩამოყალიბებულ პროპორციებს. მა-

გალითად ასეთი მიდგომა ჩვენ მოგვცემს საშუალებას ავხსნათ, თუ რატომაა რომ ამერიკასა და იაპონიას შორის სულ უფრო მზარდი ტემპით იზრდება სატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობა. კერძოდ რატომაა, რომ იაპონია ასეთი რაოდენობით შეისყიდის თვითმფრინავებს ამერიკაში, ხოლო ამერიკა ავტომობილებსა და გემებს იაპონიაში.

უშუალოდ ჰექშერ-ოლინის თეორია ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგვცემს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამერიკაშიც და იაპონიაშიც სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის პროცესში გამოიყენება ერთი და იგივე ფაქტორები და დაახლოებით თანაბარი პროპორციით. მაგრამ თუკი ჩვენ განვიხილავთ მართვისა თუ სხვა სახის გამოცდილებას, რომელიც დაგროვილია ამერიკული თვითმფრინავმშენებელი კომპანიების მაგალითად "ბოინგის" მიერ - როგორც რაღაც განსხვავებულ ფაქტორს "მიკუბისისა" და სხვა იაპონური გამომშენებელი კომპანიების მიერ დაგროვილ გამოცდილებასთან შედარებით, მაშინ მივიღებთ ამ მოვლენის საკმაოდ ობიექტურ და დამაჯერებელ ახსნას.

მეორე მეცნიერული მიმდინარეობის მიხედვით საჭიროა არა ჰექშერ-ოლინის თეორიის სრულყოფა, მოდერნიზება, არამედ მისი სრული უარყოფა და შეცვლა, ახალი უფრო რეალური მიდგომით საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების შესწავლაში. ამ თეორიის მიმდევრები ასაბუთებენ, რომ ქვეყნებს, რომლებიც წარმოების ფაქტორებით ერთნაირი პროპორციით არიან უზრუნველყოფილნი, შეუძლიათ მიიღონ მაქსიმალური მოგება ერთმანეთთან ვაჭრობით, თუკი ისინი დახელოვნდებიან სხვადასხვა დარგებში წარმოებაზე, კერძოდ იმ დარგებში, რომლებიც ხასიათდებიან მასშტაბური წარმოების მზარდი ეფექტებით (ან რაც იგივეა, მასიური წარმოების ეფექტურობით) ე. ი. წარმოების ზრდასთან ერთად ყოველი შემდგომი ერთეული საქონლის გამომეებაზე დანახარჯების შემცირებით. ამ თეორიას ეკონომიკურ ლიტერატურაში კლებადი დანახარჯების თეორია ანუ მასშტაბის ეფექტი ეწოდება. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც რიკარდოსთან მაგალითში, ქვეყნებს უჩნდებათ სტიმული წარმოების სრული სპეციალიზაციისა ერთი პროდუქტის წარმოებაზე. რამდენად რეალურია და რამდენად ობიექტურად ხსნის ეს ახალი თეორია მსოფლიო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ სტრუქტურებსა და მიმდინარე ტენდენციებს, ეკონომიკურ მეცნიერებას საბოლოო პასუხი ჯერ არ გაუცია. მიმდინარეობს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლა. მარგამ საბოლოო პასუხი შეუძლია თუ არა მას შეცვალოს ჰექშერ-ოლინის თეორია, როგორც ძირითადმა ინსტრუმენტმა საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურის ახსნისას ჯერ კიდევ გაურკვეველია.

და თუ მაინც ამ თეორიის ძირითადი პოსტულატები ჰეშმარიტია, მაშინ იგი გვაიძულებს ბევრ მოვლენას შევხედოთ ახლებურად. მიკროეკონომიკის კურსიდან ჩვენ ვიცით, რომ დარგებში, სადაც მასიური წარმოება არის ეფექტური, როგორც წესი სრულყოფილ კონკურენციას არა აქვს ადგილი. პირველივე ფირმა, რომელიც შეძლებს გაზარდოს წარმოება და მიიღწიოს დომინირებულ პოზიციას ბაზარზე, შეძლებს მასშტაბებზე ეკონომიით დაწიოს ფასები იმ დონემდე, რაც საშუალებას მისცემს განდევნოს კონკურენტები, როგორც შიდა ბაზრიდან, ასევე, თუ ამის საშუალება მიეცემა, მსოფლიო ბაზრიდანაც.

თუ ეს თეორია მართებულია და საგარეო ვაჭრობა სულ უფრო განისაზღვრება ეკონომიით, რომელიც მიიღწევა წარმოების მასშტაბების გაფართოებით, ბოლოს და ბოლოს იგი აღმოჩნდება გიგინტური ტრანსნაციონალური კორპორაციების ხელში [1, გვ. 45].

კაპიტალის ექსპორტი და საერთაშორისო კრედიტი

სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია აღიერებს არა მხოლოდ საქონლის: არამედ კაპიტალის საერთაშორისო მიგრაციის პროცესსაც. თუმცა სა-

გარეო ვაჭრობისაგან განსხვავებით, რომელმაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფართო გაქანება მოიპოვა ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ, კაპიტალის გატანა საგარეო-ეკონომიკური კავშირების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების მაღალ სტადიაზე, როდესაც იმ პერიოდში (დაახლოებით XIX საუკუნის II ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი) ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, აშშ, გერმანია და სხვა) დაგროვილი კაპიტალის მოცულობამ გიგანტურ მასშტაბებს მიაღწია და შეიქმნა მისი შედარებითი სიჭარბე.

თავდაპირველად კაპიტალის ექსპორტი ხორციელდებოდა მეტროპოლიებიდან მსოფლიო მეურნეობის პერიფერიებზე ძირითადად სასესხო ფორმით სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერის გარეშე. თანამედროვე პირობებში მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში სახელმწიფო არა მხოლოდ ხელს უწყობს კაპიტალის გატანას, არამედ თვითონ გვევლინება ფინანსური რესურსების უშუალო ექსპორტიორად. აშშ-ში, მაგალითად, სახელმწიფოს წილი კაპიტალის ექსპორტის საერთო მოცულობაში მეორე მსოფლიო ომამდე შეადგენდა დაახლოებით 1%-ს, ხოლო 80-იანი წლების ნახევრისათვის გაიზარდა 25%-მდე [3]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო კაპიტალის გატანა ძირითადად ხორციელდება განვითარებად ქვეყნებში (განსხვავებით კერძო კაპიტალისა, რომელიც სულ უფრო მეტად თვით ინდუსტრიულ სახელმწიფოებს შორის მიგრირებს) და როგორც წესი შეღავათიანი კრედიტებისა და ჩუქებების სახე აქვს, რომლებიც ხშირად ე. წ. "განვითარებისათვის ოფიციალური დახმარების" პროგრამებით მიეწოდება ჩამორჩენილ სამყაროს. მისი მთავარი მიზანია არა მაქსიმალური მოგების მიღება, არამედ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევაში ხელის შეწყობა. თუმცა სახელმწიფო სახსრებს განვითარებადი ქვეყნები იღებენ არა მხოლოდ ორმხრივ, არამედ მრავალმხრივ საფუძველზეც. კერძოდ საერთაშორისო და რეგიონული ფინანსური ორგანიზაციების საშუალებით (მხედველობაში გვაქვს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და ა. შ.).

კაპიტალის ექსპორტი ხორციელდება ორი ძირითადი ფორმით: საწარმოო კაპიტალის ექსპორტისა და სასესხო კაპიტალის ექსპორტის სახით. საწარმოო კაპიტალის გატანა წარმოადგენს გრძელვადიან უცხოურ ინვესტიციებს, რაც იწვევს საზღვარგარეთ ფილიალების ე. წ. "შვილობილი კომპანიების", ერთობლივი საკონტრაქტო საწარმოების და სხვათა შექმნას. უცხოურ საწარმოებში კაპიტალ-დაბანდებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათზე კონტროლს უცხოელი ინვესტორის მხრიდან, იწოდებიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებად.

სასესხო კაპიტალის მოძრაობა საგარეო ეკონომიკური კავშირების სფეროში გვევლინება საერთაშორისო კრედიტის სახით. საერთაშორისო კრედიტი ესაა სესხი ფულადი ან სასაქონლო ფორმით, რომელიც მიეწოდება ერთი ქვეყნის კრედიტორის მიერ მეორე ქვეყნის მსესხებელს განსაზღვრული ვადის, დაბრუნების სახისა და პროცენტის გადახდის გარკვეულ პირობებში, იგი გულისხმობს აგრეთვე საზღვარგარეთულ პორტფელურ ინვესტიციებს - კაპიტალის დაბანდებას უცხოურ ობლიგაციებში, უცხოური საწარმოების აქციებში და სხვა ფასიან ქაღალდებში მოგების მიღების მიზნით, მაგრამ რომლებიც არ აწესებენ კონტროლს მსესხებლის სამეურნეო საქმიანობაზე.

საერთაშორისო კრედიტი ჩაისახა ჯერ კიდევ გვიანი ფეოდალური საზოგადოების წიაღში. თავდაპირველად იგი წარმოადგენდა სავაზმო კაპიტალის განსაკუთრებულ ნაირსახეობას და ძირითადად გამოიყენებოდა ხშირი საომარი მოქმედებების ფინანსირებისათვის და ევროპელი მონარქების კარის შესანახად. კაპიტალიზმის დროს საერთაშორისო კრედიტმა მიიღო შემდგომი განვითარება წარმოების მზარ-

დი ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე მან დაიწყო კვლავწარმოების პროცესის მომსახურება მსოფლიო მასშტაბით.

საგარეო-ეკონომიკური კავშირების სფეროში საერთაშორისო კრედიტი ასრულებს მეტად მნიშვნელოვან ფუნქციებს. ჯერ ერთი, იგი უზრუნველყოფს ქვეყნებს შორის ფინანსური და მატერიალური რესურსების გადანაწილებას, იძლევა რა მათი უფრო ეფექტური გამოყენება და ხასხსხო სახსრებზე განსაკუთრებით მწვავე მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებას. მეორე, საერთაშორისო კრედიტი აძლიერებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაგროვების პროცესს, მიმართავს რა ერთ ქვეყანის დროებით თავისუფალ ფულად რესურსებს მეორე ქვეყნის კაპიტალდაბანდებების ფინანსირებაზე. მესამე, საერთაშორისო კრედიტი აჩქარებს მსოფლიო მასშტაბით რეაღიზების პროცესს და ამით კიდევ უფრო აგრძელებს გაფართოებულ კვლავწარმოების საზღვრებს [3, 4].

მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება საერთაშორისო კრედიტის სხვადასხვა ფორმები: რომელითა კლასიფიკაციაა შემოღებული რამდენიმე ძირითადი პრინციპის მიხედვით.

თავისი მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით საერთაშორისო კრედიტი იყოფა მიზნობრივ კრედიტად და ფინანსურ კრედიტად. მიზნობრივ კრედიტს აქვს მკაცრად განსაზღვრული, მიზნობრივი ხასიათი, რომელიც დაფიქსირებულია საკრედიტო ხელშეკრულებაში. კერძოდ, მათ მიეკუთვნება კომერციული კრედიტები, რომლებიც გაცემულია რომელიმე გარკვეული სახის პროდუქციის შესასყიდად, ან გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად, საინვესტიციო კრედიტები, რომლებიც განკუთვნილია კონკრეტული ობიექტებისათვის და ა. შ. მათგან განსხვავებით ფინანსურ კრედიტებს არ გააჩნიათ მკაცრად მიზნობრივი დანიშნულება. ისინი შეიძლება იქნენ გამოყენებულნი მსესხებლის მიერ ნებისმიერი მიზნისათვის. მთელი რიგი კონკრეტული პროექტების განხორციელებისას მიზნობრივმა და ფინანსურმა კრედიტებმა შეიძლება შეავსონ ერთმანეთი.

მიწოდების ფორმის მიხედვით განასხვავებენ სასაქონლო და სავალუტო კრედიტებს. სასაქონლო ფორმით ძირითადად გვევლინება კომერციული ანუ საფირმო კრედიტები, ხოლო ფულადი ფორმით - ფინანსური კრედიტები. სავალუტო კრედიტები გაიცემა ქვეყანა კრედიტორის ან მსესხებლის ვალუტაში, ან სხვა ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში. საერთაშორისო კრედიტი შეიძლება გაცემულ იქნეს აგრეთვე საერთაშორისო საანგარიშსწორებო ერთეულში.

გაცემის ვადების მიხედვით საერთაშორისო კრედიტები იყოფა მოკლევადიან (1 წლამდე), საშუალოვადიან (5-7 წლამდე) და გრძელვადიან (7 წელზე ზევით) კრედიტებად. მოკლევადიანი კრედიტი ტრადიციულად გამოიყენება საგარეო ვაჭრობის (განსაკუთრებით სანედლეულო საქონლით საგარეო ვაჭრობის) მომსახურებისას და აგრეთვე მომსახურების ცალკეული სახეებით (კერძოდ, საერთაშორისო ტურიზმით, სატრანსპორტო გადაზიდვებით და სხვა) საერთაშორისო მიმოცვლისას. მანქანა მოწყობილობებით ექსპორტი როგორც წესი ფინანსირდება საშუალოვადიანი კრედიტის საშუალებით. გრძელვადიანი კრედიტი ძირითადად გამოიყენება ინფრასტრუქტურაში და საწარმოო სფეროში ინვესტიციების ფინანსირებაზე, მათ შორის კომპენსაციურ საფუძველზე ფართომასშტაბური პროექტების განხორციელებისას [3].

საერთაშორისო ფინანსური ცენტრები - მათი წარმოქმნის წინაპირობები და მოკლე დახასიათება

კაპიტალის მსოფლიო ბაზარს გააჩნია გარკვეული გეოგრაფიული ლოკალიზაცია. იგი მოიცავს მთელ რიგ საერთაშორისო ფინანსურ ცენტრებს, რომლებიც ახორციელებენ მსოფლიო მასშტაბით ხასხსხო კაპიტალის უზარმაზარი თანხების აკუმულირებასა და განაწილებას. ამ საერთაშორისო ფინანსურ ცენტრებში

მოქცეულია მრავალრიცხოვანი ფულად-საკრედიტო დაწესებულებანი, რომლებიც ემსახურებიან მსოფლიო ვაჭრობისა და კაპიტალის მიგრაციას. აქ ხორციელდება მთელს მსოფლიოში ჩატარებული საერთაშორისო სავალუტო, დეპოზიტური, საკრედიტო-ემისიური და სადაზღვევო ოპერაციების უდიდესი ნაწილი.

საერთაშორისო ფინანსური ცენტრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია გარკვეული წინაპირობების არსებობა: 1) მოცემული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, 2) მსოფლიო ვაჭრობაში მისი აქტიური მონაწილეობა, 3) კაპიტალის ქმედითუნარიანი ეროვნული ბაზრისა და განვითარებული საბანკო სისტემის არსებობა, 4) ლიბერალური სავალუტო და საგადასახადო კანონმდებლობა, 5) ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, 6) პოლიტიკური სტაბილურობა [3].

მსოფლიო მოწინავე ფინანსურ ცენტრს წარმოადგენს ნიუ-იორკი, რომელიც ეყრდნობა აშშ-ს მძლავრ ეკონომიკას და კაპიტალის განვითარებულ ბაზარს. განსაკუთრებით დიდია მისი როლი აქციებისა და ობლიგაციების ემისიაში, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟას მსოფლიოში ტოლი არ ჰყავს.

უმძლავრეს ევროპულ ფინანსურ ცენტრს წარმოადგენს ლონდონი. მას მოწინავე პოზიციები უკავია მსოფლიო საერთაშორისო სავალუტო, დეპოზიტური და საკრედიტო ოპერაციების მოცულობით. ტრადიციული გრძელვადიანი სესხების სფეროში ევროპაში გამოირჩევა ციურიხი და მაინის ფრანკფურტი. ლუქსემბურგი სპეციალიზდება მოკლევადიან და საშუალოვადიან საკრედიტო ოპერაციებზე.

ამ ბოლო დროს სულ უფრო იზრდება ტოკიოს, როგორც საერთაშორისო ფინანსური ცენტრის მნიშვნელობა. ამას ხელს უწყობს იაპონიის გადაჭყვევა მსოფლიოს მსხვილ კრედიტორად და კაპიტალის იაპონური ბაზრის ლიბერალიზაცია.

70-იან 80-იან წლებში წარმოიშვნენ ახალი ფინანსური ცენტრები მსოფლიო მეურნეობის პერიფერიებზე - სინგაპურში, ჰონკონგში, ბახრეინში, პანამაში და აგრეთვე ჰავაისის, კაიმანის და ნიდერლანდების ანტილის კუნძულებზე. მათ ეწოდათ საერთო სახელი "ოფშორ" რაც მიგვანიშნებს ადგილობრივ ეკონომიკასთან ამ ფინანსური ცენტრების მჭიდრო კავშირის არსებობაზე. მათ გააჩნიათ შედეგათიანი საგადასახადო და სავალუტო რეჟიმები, რითაც იზიდავენ ტრანსნაციონალურ ბანკებსა და კორპორაციებს. ასეთი საგადასახადო ე. წ. "თავშესაფრებში" ხანდახან მხოლოდ რეგისტრირდება გარიგება, რომელიც დაიღო პლანეტის სულ სხვა წერტილში.

ლიტერატურა:

1. Линдерт П.Х. Экономика мирохозяйственных связей, М., 1992 г.
2. Пейро М. Международные экономические, валютные и финисовые отношения, М., 1994 г.
3. Фаминский Основы внешнеэкономических знаний, М., 1990 г.
4. Международные экономические отношения, под редакцией Хасбулатова Р.И., тт. I, II, М., 1991 г.
5. Richard E. Caves, Jeffrey A. Frankel, Ronald W. Jones *World Trade and Payments*, 1996

Historical Evolution and Modern Peculiarities of International Economic Relations

Abdaladze Merab
I.Gavakhishvili Tbilisi
State University
2, University Str.
Tbilisi 380002
Georgia

Summary. The objective process of rapprochement separate nations of our planet has the century-old history, but rather more dynamically it began to develop after the forming of capitalism, great geographic achievements, forming of world market. It's not a long time since its learning, started, though foreign trade represented definite form of economic relations among states during the centuries. The first systematic researches had been made by the representatives of mercantilistic school in 16-18th centuries. Afterwords Adam Smith and David Ricardo negated demand from mercantilists to make necessity of active state regulation and control of the international economic relations. They proved the profit of free trade for separate countries, as well as for the world industry in whole.

At the beginning of 20th century, well-known representatives of Swedish school, Eli Heckscher and Bertil Ohlin proved that the basis of comparative advantage of separate countries in producing different kinds of goods is the degree of guarantee with the factors of their production. Though, after the World War II the running processes and new theoretical achievements (Leontiev's paradox) made it necessary to search new understanding of theoretical explaining of the international trade structure (the theory of scale effect).

Internationalization of industrial life makes more powerful the international migration of not only the goods, but of the capital as well. It helps much the process of world scale accumulation and economic growth.

Историческая эволюция и современные особенности международных экономических отношений

Абдаладзе Мераб
380002, Тбилиси
ул. Университетская 2,
Тбилисский государственный
университет им. И.Джавахишвили,

Резюме. Объективный процесс экономического сближения отдельных народов нашей планеты имеет многовековую историю, но особенно динамично он начал развиваться в результате зарождения капитализма; великих географических открытий; формирования мирового рынка. Несмотря на то, что внешняя торговля в течение тысячелетия являлась определяющей формой экономических взаимоотношений между государствами, ее теоретическое изучение началось не так давно. Первые систематические исследования были проведены представителями школы меркантилизма в XVI-XVIII веках. Впоследствии они были развиты А.Смитом и Д.Рикардо, которые отказались от идей меркантилизма о необходимости жесткой регламентации и контроля внешней торговли со стороны государства. Ими была обоснована выгодность свободной торговли, как для отдельной страны, так и для всего мирового хозяйства.

В начале XX века известные представители шведской школы Эли Хекшер и Бертил Олин доказали, что основой для относительного преимущества отдельной страны в производстве того или иного продукта является степень их обеспеченности факторами производства. После Второй мировой войны процессы, происходящие в мировой торговле, и новые теоретические достижения (парадокс Леонтьева) внесли в повестку дня необходимость исследования новых подходов к теоретическому объяснению структуры международной торговли.

Интернационализация хозяйственной жизни усиливает международную миграцию не только товаров, но и капитала, что существенно способствует процессу накопления и экономического роста в мировом масштабе.

წესები ავტორთათვის

1. ჟურნალში "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე: ეკონომიკის სერია", ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ქვეყნდება სტატიები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას თანამედროვე მოწინავე ეკონომიკური მიმართულებების თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგების შესახებ. პერიოდულად იბეჭდება რეცენზიები, აგრეთვე იმ კონფერენციების, სხდომებისა და სხვა სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიებების ქრონიკები, რომლებიც რესპუბლიკაში ტარდება.

2. რედაქციაში გამოგზავნილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის მიერ, თანაავტორობის შემთხვევაში კი - ყველა თანაავტორის მიერ, სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხის და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ტელეფაქსის, ტელექსის მითითებით.

3. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, რეზიუმე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე არ უნდა აღემატებოდეს ნაბეჭდი ტექსტის 24 გვერდს, რომელიც დაბეჭდილია 2 ინტერვალით. მარცხენა მხარეს დატოვებული უნდა იყოს 4 სმ სიგანის მინდორი.

რეზიუმე; გამოყენებული ლიტერატურის სია, ცხრილები და ნახატების მინაწერები სრულდება ცალკე ფურცელზე.

მოკლე მოხსენებების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7 ნაბეჭდ გვერდს.

რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ეგზემპლარად. ხელნაწერის ყოველი გვერდი, ლიტერატურის სიის ჩათვლით, უნდა იყოს დანამრჩილი.

4. ილუსტრაციები (ორ ეგზემპლარად) ცალკე უნდა ახლდეს ნაშრომს. ნახაზები და გრაფიკები შესრულებული უნდა იყოს მკაფიოდ ტუშით, კალკაზე ან მილიმეტრიან ქაღალდზე. ფანქრით შესრულებული, ტექსტში ჩახაზული, ან ხელნაწერზე დაწებებული ნახაზები არ მიიღება. აუცილებლად უნდა მიეჭკეს ყურადღება აღნიშვნების იდენტურობას ტექსტში და ნახაზზე. ყველა მინაწერი, რომელიც ფარავს ნახაზს უნდა შეიცვალოს ციფრობრივი, ან ასოითი აღნიშვნით, განმარტებები კი ჩამოტანილ იქნეს ნახაზის მინაწერში.

5. ყოველი ილუსტრაციის მეორე მხარეს აღნიშნული უნდა იყოს მისი რიგობრივი ნომერი და ავტორების გვარები.

6. ფორმულები და განმარტებები თუ ჩაწერილია ხელით უნდა შესრულდეს გარკვევით. ინდექსის ჩაწერისას კარგად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან შტრიხი, ერთიანი და მძიმე. ფორმულების ჩაწერისას კარგად უნდა ჩანდეს განსხვავება დიდ და პატარა ასოებს შორის: თუ მათ ერთნაირი მოხაზულობა აქვთ დიდ ასოს ფანქრით უნდა გავუსვათ ხაზი ქვემოდან (მაგ. X). განსაკუთრებით ზუსტად უნდა ჩაწეროს ერთმანეთის მსგავსი ასოები μ და m და e , u და n და სხვა.

7. ლიტერატურის დასახელება უნდა მოთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით (რეცენზიებში, რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს რუბრიკით კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ლიტერატურა დასახელებს გვერდის სქოლიოში).

წიგნებისათვის უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: ავტორის გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, ტომი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი.

საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ტომი, ნომერი (გამომშვება).

ლიტერატურის ნომერი სიაში შეესაბამება ტექსტში მათი მოხსენიების რიგს. ტექსტში ლიტერატურის დასახელებისას უნდა აღინიშნოს მისი რიგითი ნომერი (მაგ. [3]). ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს წიგნის (ჟურნალის) სატიტულო ფურცელს.

8. ავტორთა საყურადღებოდ რედაქცია აღნიშნავს, რომ სტატიის ტექსტსა და ნახატებს უნდა ჰქონდეს მინაწერი დასაბეჭდად. როგორც წესი კორექტურა ავტორებს არ ეგზავნებათ.

9. სასურველია სტატიაში აღინიშნოს რითი განსხვავდება მიღებული შედეგი ადრე ცნობილისაგან.

10. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში შემოსვლის რიგის მიხედვით. თუ რედაქცია დაბრუნებს სტატიას გადასამუშავებლად, სტატიის წარმოდგენის თარიღად ითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი. ჟურნალის ერთ ნომერში შეიძლება ავტორის ერთი სტატიის ან ერთი მოკლე შეტყობინების გამოქვეყნება.

11. სტატიის გამოქვეყნებაზე უარის თქმის შემთხვევაში რედაქცია უფლებას იტოვებს არ დაუბრუნოს ავტორს ერთი ეგზემპლარი.

12. ხელნაწერები რომლებიც არ აკმაყოფილებს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს რედაქციის მიერ არ მიიღება.

INSTRUCTION TO AUTHORS

1. The journal "Proceedings of the Georgian Academy of Sciences: Economic Series" publishes articles in Georgian, Russian and English, which includes the results of theoretical and applied research in leading trends of modern economic sciences. Periodically published reviews, chronicles of conferences, meetings, seminars etc. held in the Republic.

2. An original article sent to editorial board must be signed by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and telex.

3. Volume of an article, list of references and summary in Georgian, Russian and English should not exceed 24 typewritten lines with double spacing. On the left hand side 4 cm margins should be left.

Summary, list of references, tables and signs under illustrations should be submitted separately.

A volume of short notes should not exceed 7 typewritten lines.

Two copies of papers should be sent to the publisher. All pages of manuscripts, including references should be numbered.

4. Illustrations (two copies) should be submitted separately.

Drawings and drafts should be filled legibly with indian ink on tracing paper or squared paper. Drafts in pencils, drawn in texts or pasted onto manuscripts are not accepted. It is necessary to keep an eye on exact accordance of designations in texts and drafts. All legends, overloading drafts should be substituted by figures or letters, explanations of them should be moved to inscriptions under illustrations.

5. On the back of each illustration it's ordinal number and authors' names should be written down.

6. Formulas and designations should be handwritten by ink, legibly, large and loosely. Subindexes should be avoided as far as possible.

When marking indexes it is necessary to differ strokes and numeral-units from commas.

When writing formulas it is necessary to differentiate strictly between small and capital letters. This requirement is applied especially to the letters of the same inscription distinguishing only by their size: capital letters are underlined with line below (for example, \underline{X}).

It is necessary to write carefully the letters looking alike (g and q, l and e, u and n etc.).

7. Literature is listed as a general list at the end of an article (in the reviews published in the section "Criticism and Bibliography" literature is given in footnotes) in the following order: books, 1st 2nd and 3rd names of the author, title of the book, place of publication, publishing house, year of publication.

Journal articles: books, 1st, 2nd, 3rd names of the author, articles's title, year of publication, volume, issue.

Literature is listed following the sequence of references in the text of an article. References in the text of an article are given in parentheses. A bibliographic description of each title in the list of literature must correspond strictly to the title-page of a book or a journal.

8. The editorial staff calls your attention to the fact that a typed text and drawing ready for type-setting signed "ready for printing" and proof-sheets for reading, as a rule, are not sent back to authors.

9. It is advisable to mention in an article the distinctive features of the given result from all the others already known.

10. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision, the date of receiving the final text is regarded as the date of submission for consideration. In one issue of a journal only one article or one brief report of an author is published.

11. In case of a refusal to publish an article, the editorial staff reserves the right not to return one copy of an article to author.

12. The manuscripts not meeting these requirements are not taken for consideration by editorial staff.

ПРАВИЛА ДЛЯ АВТОРОВ

1. В журнале "Известия АН Грузии: серия экономическая" публикуются статьи на грузинском, русском и английском языках, в которых содержатся результаты исследований теоретического и прикладного характера по ведущим направлениям современной экономической науки.

Периодически публикуются рецензии, хроника о конференциях, совещаниях, семинарах и других научно-организационных мероприятиях, проводимых в республике.

2. Направленный в редакцию оригинал статьи должен быть подписан автором, а в случае соавторства - всеми соавторами с указанием фамилии, имени, отчества, места работы, ученой степени и звания, полного почтового адреса и телефонов, телефаксов, телексов.

3. Объем статьи, список использованной литературы, резюме на грузинском, русском и английском языках, не должны превышать 24 страниц машинописного текста, отпечатанных через два интервала. С левой стороны оставляются поля шириной 4 см.

Резюме, список использованной литературы, таблицы и подписи к рисункам исполняются на отдельных листах.

Объем кратких сообщений не должен превышать 7 страниц машинописного текста.

Статьи представляются в редакцию обязательно в двух экземплярах. Все страницы рукописи, включая литературу, должны быть пронумерованы.

4. Иллюстрации (в двух экземплярах) прилагаются к рукописи отдельно. Чертежи и графики должны быть выполнены четко, тушью на кальке или миллиметровой бумаге. Чертежи, выполненные карандашом, вычерченные в тексте или приклеенные к рукописи не принимаются. Необходимо тщательно следить за точным соответствием обозначений в тексте и на чертежах. Все надписи, загромаждающие чертеж, должны быть заменены цифровыми или буквенными обозначениями, а объяснения к ним вынесены в подпись к рисунку.

5. На обороте каждой иллюстрации должны быть проставлены ее порядковый номер и фамилии авторов.

6. Формулы и обозначения должны быть вписаны от руки чернилами, свободно, четко, крупно; следует по возможности избегать субиндексов.

В начертании индексов следует четко отличать штрих и единицу от запятой.

Должно соблюдаться строгое различие между строчными (малыми) и прописными (большими) буквами, имеющими одинаковое начертание и различающимися только своим размером: заглавные буквы подчеркиваются черточкой снизу (например, X).

Необходимо тщательно вписывать похожие одна на другую буквы (g и q, l и e, u и p и др.).

7. Литература приводится в конце статьи общим списком (в рецензиях, публикуемых в разделе "Критика и библиография", литература дается в подстрочных примечаниях) в следующем порядке:

Книги: Фамилия и инициалы автора. Название книги. Том. Место издания, издательство, год.

Журнальные статьи: Фамилия и инициалы автора. Название статьи. Название журнала, год, том, номер (выпуск).

Список литературы составляется в порядке упоминания работ в статье. Ссылки на литературу в тексте даются в квадратных скобках (например, [3]).

Библиографическое описание каждого названия в списке литературы должно строго соответствовать титульному листу книги (журнала).

8. Редакция обращает внимание авторов на то, что подготовленный к набору машинописный текст статей и рисунки подписываются авторами "в печать" и корректура для просмотра, как правило, не высылается.

9. В статье желательно указать, чем отличается предлагаемый результат от ранее известных.

10. В журнале статьи публикуются в порядке поступления в редакцию. В случае возвращения автору статьи для доработки, датой представления считается день получения редакцией окончательного текста. В одном номере журнала может быть опубликована одна статья автора или одно краткое сообщение.

11. В случае отклонения статьи редакция оставляет за собой право не возвращать автору один экземпляр.

12. Рукописи, не отвечающие настоящим правилам, редакцией не принимаются.

გადაეცა წარმოებას 30,7,97; ხელმოწერილია დასაბუქდად 24,7,97; ქალაქის ზომა 70x108 1/16; ქალაქი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 4,9; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,36; ტირაჟი 100; შეკვეთა №310
ფასი სახელმწიკრულზე

საწარმო-საგამომცემლო
გაერთიანება „მეცნიერება“
თბილისი, 380060
გამრეკელის ქ. 19

40 227/3



CONTENTS

Natelauri Iza
Foreign Economical Statistics of Georgia in 1980-1995 . 3

O'Brien John Conway
Schmoller's Political Economy: Self-Interest Versus
the Higher Law 13

Ananiashvili Iuri
On Improvement of Model of Intersectoral Balance for
Open (Regional) Economy 29

Abdaladze Merab
Historical Evolution and Modern Peculiarities of
International Economic Relations 45

Instruction to Authors 61

ტომი 5
VOL. 5
TOM 5
N 1-2

1997
76196